შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: ოჯახური ძალადობის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: ელენე გაგნიძე

ნაშრომის ხელმძღვანელი:
პროფესორი სერგო ჭელიძე

თბილისი
2019

შინაარსი

ანოტაცია ---------- 3

Annotation ---------- 4

შესავალი ----------5

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა ----------8

თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი ----------11

2.1 დანაშაულის ცნება ----------11

2.1.1 დანაშაულზე სოციალური კონტროლის თავისებურებანი

დანაშაულობის იურიდიულ განსაზღვრებასთან მიმართებით ----------13

2.1.2 დანაშაულზე სოციალური კონტროლის თავისებურებანი

,,უმსხვერპლო დანაშაულობასთან'' მიმართებით ----------19

2.2 ოჯახური ძალადობა----------23

2.2.1 ოჯახური ძალადობის გამომწვევი მიზეზები----------28

2.2.2 ოჯახური ძალადობისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები ---------31

2.2.3 ოჯახური ძალადობის კრიმინალიზაცია----------34

2.3 ოჯახური დანაშაულის დახასიათება----------49

2.3.1 ოჯახური დანაშაულის ამსრულებელი, შუალობითი ამსრულებელი

და თანამონაწილე ----------55

თავი III. კვლევის შედეგები ----------61

დასკვნა ----------65

გამოყენებული ლიტერატურა ----------68

ანოტაცია

ოჯახური დანაშაული თავისი არსით ერთ-ერთი ყველაზე რთული, სპეციფიკური და გავრცელებული სოციალურ-სამართლებრივი პრობლემაა, რომელიც სამართლადარღვევათა მთელ რიგ ნიშნებს შეიცავს.

სამაგისტრო ნაშრომი ,, ოჯახური ძალადობის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები'' წარმოდგენილია 69 კომპიუტერული ნაბეჭდი გვერდის სახით, რომელიც მოიცავს შესავალს, სამ თავს, რომლებიც დაყოფილი ქვეთავებად, ასევე დასკვნასა და გამოყენებულ ლიტერტურას.

ნაშრომის შესავალში მოცემულია თემის აქტუალობა, განსაზღვრულია კვლევის საგანი და ობიექტი, განსაზღვრულია კვლევის მიზანი და ამოცანები, ნაშრომის ინფორმაციული ბაზა და კვლევის მეთოდი.წარმოდგენილი ნაშრომის პირველი თავი ეძღვნება ლიტერატურის მიმოხილვას, რომელშიც მოკლედ არის აღწერილი ის ძირითადი ლიტერატურა, რომლებიც გამოყენებულია მოცემული ნაშრომის წარმოსაჩენად. მეორე თავიში მოცემულია პრობლემის კვლევა/ანალიზი, „დანაშაულის ცნებაში" - განხილულია დანაშაულის წარმოშობისა და განვითარების ეტაპები. განხილულია დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის თავისებურებანი დანაშაულობის იურიდიულ განსაზღვრასთან მიმართებით, დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის თავისებურებანი „უმსხვერპლო დანაშაულობასთან" მიმართებით და დანაშაულობის განსაზღვრის სოციოლოგიური და კრიმინოლოგიური მიდგომები. ასევე განხილულია ოჯახური ძალადობის გამომწვევი მიზეზები, ოჯახში ძალადობისაგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები, ოჯახური ძალადობის კრიმინალიზაცია. ასევე საუბარია ოჯახური დანაშაულის ამსრულებელზე და თანამონაწილეზე. მესამე თავი, კვლევის შედეგი კი ეხება წინა თავში წამოჭრილ პრობლემებსა და მათ შეჯამება - გაანალიზებას. ნაშრომის დასკვნაში მითითებულია თუ რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ აღიკვეთოს ოჯახში ძალადობა.

ნაშრომის შესრულებისას, ჩემს მიერ გამოყენებული იქნა სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურა,ნორმის განმარტების რამდენიმე მეთოდი კომბინირებულად, კერძოდ: განმარტების გრამატიკული, სისტემური და სტატისტიკური მეთოდები.

Annotation

Family crime is one of the most difficult, specific and widespread socio-legal problems in its essence, which contains a number of signs of lawfulness.

Master's thesis "Criminal and Criminological Aspects of Domestic Violence" is presented in the form of a 69 computer printed page that includes the introduction of the three subjects as well as the conclusion, the conclusion and the used literature.

In the introduction of the thesis, the topic of the topic is defined and the purpose and objective of the research is the purpose and objectives of the research, the information base of the work and research method. The second chapter provides an analysis of the problem / analysis, "the notion of the crime" - the stages of origin and development of crime. The peculiarities of social control over the offense include the legal definition of the offense, the peculiarities of social control over the offense with the "offense of crime" and the sociological and criminological approaches to determining the crime. The reasons for domestic violence are also discussed, legal mechanisms for protection against domestic violence, criminalization of domestic violence. It is also about family actors and co-participants. The third chapter, the outcome of the research concerns the problems raised in the previous chapter and their summarization - analysis. The report concludes what should be done to prevent domestic violence.

In the course of my work, I have used educational-scientific literature, several methods of interpretation of the norm, in particular: grammatical, systemic and statistical methods of interpretation.

შესავალი

ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და გავრცელებული ძალადობის ფორმაა. იგი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს და საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს. ოჯახში ძალადობას ახასიათებს ფარული და განგრძობადი ხასიათი და სპეციფიურობა რადგან,კონფლიქტი უშუალოდ შეეხება თანაცხოვრებით ერთმანეთთან დაკავშირებულ პირებს, ატარებს ლოკალურ და ჩაკეტილ ხასიათს.“

პრობლემის უკეთ გასააზრებლად, აუცილებელია ძალადობის ცნების განსაზღვრა. ძალადობა -ეს არის ძალის აშკარა ან ფარული გამოყენება ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფისაგან ისეთი რამის მისაღწევად, რაზედაც ისინი თავისი ნებით არ თანხმდებიან. სინონიმებია: აგრესია, სასტიკი მოპყრობა, შეურაცხოფა, იძულება, ხელყოფა, წამება, მუქარა. ძალადობა არის ყოველგვარი ქმედება ან სიტყვა, რომელსაც შეუძლია ადამიანი შეურაცხჰყოს, ზიანი მოუტანოს მას ან შეულახოს კანონით მინიჭებული უფლებები. ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, შელახულია მისი ხელშეუხებლობა, ღირსება, და თავისუფლება.ნაშრომში საუბარია ოჯახური ძალადობის მსხვერპლზე, მოძალადეზე და ქმედებაზე. [1]

ოჯახური ძალადობა კომპლექსური მოვლენაა, რომელსაც ფესვები ღრმად აქვს გადგმული საზოგადოების ორგანიზაციის სტრუქტურაში, კულტურულ რწმენებსა და სქესთაშორის ძალაუფლების უთანასწორო გადანაწილებაში. ოჯახური ძალადობა ყველა საზოგადოებაში ხორციელდება და მიზნად ისახავს ერთი სქესის (უმეტეს შემთხვევაში ქალების) სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ დაქვემდებარებას მეორე სქესისადმი. ოჯახში ძალადობას გააჩნია საკუთარი მახასიათებლები და თავისებურებები, ანუ ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც ხდება ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირება.

[1] დამხმარე სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენერებისათვის/ სასწავლო კურსისათვის თემაზე: „ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“ https://police.ge/ge/projects/odjakhshi-dzaladoba, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული- 15.04.2019;

თემის აქტუალურობა: ოჯახში ძალადობის საკითხი იმ მოვლენათა რიგს განეკუთვნება, რომელიც ყველა დროსა და საზოგადოებრივი განვითარების ყველა ეტაპზე ტაბუირებულ საკითხად აღიქმება. ზოგი ამ საკითხს მოდურ ან არარსებულ პრობლემად მიიჩნევს, ზოგი ადამიანური ურთიერთობების ერთერთ თანმდევ მოვლენად განიხილავს. პოზიციათა სხვადასხვაობა განპირობებულია არა მხოლოდ საკითხის ტაბუირებულობით, არამედ საზოგადოებრივი ცნობიერებითა და ზოგადად განათლების დონით. რაც უფრო მაღალგანვითარებულია საზოგადოება, მით უფრო დიდი ყურადღება ექცევა ადამიანური ფაქტორის გათვალისწინებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სრულყოფისათვის მის წინა პლანზე წამოწევას. ამდენად არ არის გასაკვირი, რომ ჩვენს ქვეყანაში არც თუ ისე დიდი ხანია (რამოდენიმე წელია) სამთავრობო თუ არასამთავრობო დონეზე. ეს საკითხი განხილვის საგნად იქცა.

ნაშრომის მიზნები: ვფიქრობ, ნაშრომი დახმარებას გაუწევს როგორც მეცნიერ და პრაქტიკოს მუშაკებს ასევე ამ თემით დაინტერესებულ სტუდენტებსა და სამართალდამცავ ორგანოებს ქმედების სწორი შეფასებისთვის და კვალიფიკაციისთვის, რაც მნიშვნელოვანია, გამოძიების სწორად წარმართვისა და რელევანტური მტკიცებულებების მოსაპოვებლად.

ამოცანები: აღნიშნული მიზნების მისაღწევად კი ნაშრომში წარმოჩენილია შემდეგი ამოცანები:

- კანონმდებლობის დახვეწა - საკანონმდებლო საკითხებთან დაკავშირებით ცვლილებების შეტანას წინ უნდა უსწრებდეს სხვადასხვა სპეციალისტთა (ფსიქოლოგების, იურისტების, სოციოლოგების, პოლიციელებისა და ჟურნალისტების) მიერ ჩამოყალიბებული საერთო პოზიცია.
- საგანმანათლებლო მუშაობა - დასაწყის ეტაპზე ოჯახურ ძალადობაზე მსჯელობასა და საკითხის პროპაგანდას უნდა ახორციელებდნენ კვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც გააჩნიათ პროფესიული გამოცდილება ან მუშაობის სტაჟი.

- ქსელური მუშაობის განვითარება - ოჯახური ძალადობის საკითხზე მომუშავე ცენტრებისა და ორგანიზაციების კოორდინირებული მუშაობა, ერთობლივად შემუშავებული სტრატეგიული გეგმის საფუძველზე.
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება - ოჯახური ძალადობის საკითხზე არსებული ლიტერატურის გავრცელება, მასმედიის როლის გააქტიურება, მოსახლეობის ინფორმირება საკონსულტაციო ცენტრებისა და პრევენციული საშუალებების არსებობის შესახებ.

კვლევის მეთოდები: წარმოდგენილი ნაშრომში გარკვეული საკითხების სიღრმისეულად შესწავლისა და შეფასების მიზნით გამოყენებული იქნა კვლევის რამოდენიმე მეთოდი, ესენია: დამოკიდებულება ქალის უფლებრივი პრობლემის მიმართ. ოჯახური ძალადობა, როგორც სოციალური პრობლემა. ძალადობის მაპროვოცირებელი ფაქტორები. ოჯახი, როგორც ძალადობის სიტუაცია. ოჯახში ძალადობის სუბიექტები და ობიექტები. რეაგირება ძალადობაზე.

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

ჩემს მიერ მომზადებული ნაშრომიდან გამოიყო ოჯახური ძალადობის ორი ძირითადი ასპექტი: 1. როგორ ხედავს სახელმწიფო ოჯახში ძალადობის პრობლემას: რა არის ოჯახში ძალადობა და ვინ არის მსხვერპლი? (დიაგნოზი) და 2. როგორ ხედავს სახელმწიფო ამ პრობლემის გადაჭრის გზებს: რა არის პრობლემის მიზეზი და რა აქტივობებია მიმართული პრობლემის გადაჭრისკენ? UNICEF-ის მიერ 2012 წელს ჩატარებული კვლევა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ოჯახში ძალადობის კომპლექსურობას. კვლევის შედეგების მიხედვით, ოჯახში ძალადობა ციკლური პროცესია და აძლიერებს თაობებს შორის ძალადობის ფაქტებსაც. ძალადობა ნორმაა, რომელიც ხელს უშლის ინდივიდის განვითარებასა და პროგრესული საზოგადოებისათვის არ ქმნის შესაბამის პირობებს.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ კანონში, მისი შემუშავების მიზანზე საუბრისას, გამოჩნდა, რომ სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია ოჯახის მთლიანობისა და ოჯახური ღირებულებების დაცვაც, რაც პოლიტიკის ჩარჩოების ანალიზის მიხედვით ოჯახის ჩარჩოში თავსდება. კანონის მიზანია: ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობის აღიარებით მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, ოჯახური ღირებულებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიების შექმნის უზრუნველყოფა.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონის მეოთხე მუხლში, რომელიც ეთმობა დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებებს, მოყვანილია, თუ რას გულისხმობს ოჯახში ძალადობის თითოეული სახე. კანონის თანახმად, ოჯახში ძალადობა მოიცავს: ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ, ეკონომიკურ ძალადობას, ან იძულებას. გარდა ამისა, კანონის მიხედვით, ძალადობის მსხვერპლიც და მოძალადეც შეიძლება იყოს ოჯახის ნებისმიერი წევრი, განურჩევლად სქესისა

კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგია აქცენტს აკეთებს ასევე იმაზე, თუ როგორ და რაში ხედავს სახელმწიფო ოჯახში ძალადობის პრობლემის მიზეზებს. დამუშავებულ დოკუმენტებში, პირდაპირ არსად ჩანს რა არის პრობლემის მიზეზი.

შესაბამისად, არ არის ნახსენები პრობლემის გამომწვევი ფაქტორები და პრობლემის განხილვისას, არც ექსპლიციტურად და არც იმპლიციტურად გენდერის ასპექტებზე არ არის ყურადღება გამახვილებული. პრობლემა განხილულია მატერიალური ხაზით (რესურსებით), ანუ, ძირითადი აქცენტი კეთდება ოჯახში ძალადობის პრობლემასთან ბრძოლისთვის საჭირო რესურსების შექმნაზე, რაც გულისხმობს კარგი საკანონმდებლო ბაზისა და სამართლებრივი მექანიზმების შექმნის საჭიროებას, ასევე, კრიზისული ცენტრების და თავშესაფრების ამოქმედებას და ა.შ.

ნაშრომის თემის გადმოსაცემად გამოყენებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი , საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილება შევიდა – მას ახალი მუხლი დაემატა ოჯახური ძალადობის შესახებ. უშუალოდ ოჯახური ძალადობის მსხვერპლისთვის – ასეთი კი საქართველოში არცთუ ცოტაა – რეალურად არაფერი იცვლება. კანონი სისხლის სამართლის დამნაშავეებს აქამდეც სჯიდა მიუხედავად იმისა, ოჯახში ჩაიდენდნენ დანაშაულს, თუ მის გარეთ. სიახლე მხოლოდ ტერმინია – ოჯახური ძალადობა. კანონმდებლები იმედოვნებენ, რომ ეს საზოგადოებას შეახსენებს: მოძალადე დაისჯება როგორც სხვისი, ასევე საკუთარი მეუღლის, შვილის, დედის თუ მამის მიმართ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის გამო.

ნუგზარ გაბრიჩიძის საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილ ძალადობითი დანაშაულობის კვლევის მიზანს წარმოადგენდა ოჯახური ძალადობის მიმართ საზოგადოებრივი აზრის კვლევა, არსებული სტერეოტიპების გამოვლენა გენდერული ასპექტის გათვალისწინებით, დამოკიდებულების დადგენა ისეთი კონკრეტული სფეროების მიმართ, როგორიცაა ქალთა უფლებრივი საკითხები, ძალადობის მაპროვოცირებელი ფაქტორები, ძალადობის სუბიექტ-ობიექტი, ძალადობის დაძლევის საზოგადოებისათვის მისაღები და მიუღებელი ფორმები, რისი გათვალისწინებაც საშუალებას მოგვცემდა დაგვედგინა თუ რამდენად გაცნობიერებული თემაა ოჯახური ძალადობა საზოგადოებისათვის.

წარმოჭრილი პრობლების თემის უკეთ გაანალიზებაში გვეხმარება ავტორთა კოლექტივის ნაშრომი - ოჯახის კრიზისი საქართველოში და საოჯახო პოლიტიკის პრინციპები,სადაც ნათქვამია ,რომ პრობლემის აღმოსაფხვრელად აუცილებელია ინფორმირებულობის, ცნობიერების დონის ამაღლება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რათა ხალხმა გააცნობიეროს პრობლემის არსი. ძალადობის ფაქტების გასაჯაროება დაცინვისა და განსჯის თემა კი არ უნდა გახდეს, არამედ თითოეული მოქალაქე სერიოზულად უნდა დაფიქრდეს და მიხვდეს რომ პრობლემა არსებობს საზოგადოებაში და ამის მსხვერპლი დღეს თუ ხვალ შეიძლება თვითონ გახდეს.

ოჯახური ძალადობის პრობლების გადმოსაცემად გამოყენებულია მერაბ ტურავას განმარტება: ოჯახი არის ქორწინებით თუ ნათესაურ ურთიერთობაში მყოფი პიროვნებებისაგან შემდგარი, ისტორიულად განსაზღვრული ორგანიზაციის მქონე მცირე ჯგუფი, რომლის თავდაპირველი შექმნა და შემდგომი არსებობა განპირობებულია მთელი საზოგადოებისა და ცალკეული პიროვნებების ფსიქო-ბიოსოციალური მოთხოვნილებების განუყოფელი ერთიანობის ძალით. ასეთ განმარტებაში, მათი აზრით, ასახულია ოჯახის არსიც, შემადგენლობაც, საზოგადოებრივ ცხოვრებასთან კავშირიც და მომავლის პერსპექტივაც.

თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი

2.1 დანაშაულის ცნება

ოჯახური ძალადობა ეს არის კრიმინოლოგიური პრობლემა, ამიტომ სანამ ოჯახურ ძალადობას განვიხილავთ მიზამშეწონილად მიგვაჩნია, შეძლებისდაგვარად დავადგინოთ თუ რა არის ზოგადად დანაშაულობა, რა ტიპის მოვლენასთან გვაქვს საქმე დანაშაულობის სახით. დანაშაულობის ფენომენის სრულყოფილად განუსაზღვრელობის გამო, კრიმინოლოგიაში ეჭვქვეშ დგება მისი იურიდიულ მეცნიერებად მიჩნევის საკითხი. ნიშანდობლივია, რომ ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში კრიმინოლოგიას სოციალურ მეცნიერებათა რიცხვს მიაკუთვნებენ, რუსეთში, საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კი იგი იურისტთა შესწავლის კომპეტენციად მიიჩნევა.

კრიმინოლოგებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა დანაშაულობის რაობაზე. შესაბამისად, არ არის განსაზღვრული თუ რა მოვლენაა იგი, რა ფორმებითა და მექანიზმებით უნდა განხორციელდეს მასზე სოციალური კონტროლი. შეიძლება ამ აზრთა სხვაობას ისიც უწყობს ხელს, რომ კრიმინოლოგთა ნაწილი იურისტების წრიდან არაა. თ. დოსტოევსკი ამტკიცებს, რომ „მიუხედავად თვალსაზრისთა მრავალგვარობისა, არსებობს ზოგიერთი ისეთი დანაშაული ყველგან და ყოველთვის, ყოველგვარი კანონებით, ქვეყნის დასაბამიდან რომ ითვლება უდავო დანაშაულად და ასეთად ჩაითვლება მანამდე, სანამ ადამიანი ადამიანად რჩება“, ეს ნიშნავს, რომ ფაქტში, მეცნიერული დისკუსიების გარეშე, უნდა ვეძებოთ დანაშაული და მისი დანაშაულებრივი ხასიათი. [2]

ტერმინი „დანაშაულობა“ (criminality) იშვიათად გვხვდება ინგლისურენოვან ლიტერატურაში, უფრო ხშირად ავტორები შემოიფარგლებიან ტერმინით „crime“, offence (დანაშაული). დანაშაული კი მეცნიერული თვალსაზრისით, ეტიმოლოგიურად აღნიშნავს ქმედებას, რომელიც არღვევს საზოგადოებაში დადგენილ ქცევის წესს, სოციალურ ნორმებს. რუსულ ენაზე „преступление“ მომდინარეობს სიტყვიდან „переступать“ და ნიშნავს ზღვარს გადასვლას,

[2] ე.კოდუა, ,,სოციოლოგია'', II ნაკვეთი, თბ., 1998, გვ.228

გადაცდომას.[3] ანალოგიურად განიმარტება დანაშაული გერმანულ ენაზე „vergehen, verbrechen“. საზოგადოებაში დადგენილი ნორმალურ ურთიერთობათა საზღვრების დაცვა მართლზომიერად განიხილება, ხოლო ასეთი ურთიერთობების დარღვევა არამართლზომიერად, უსამართლოდ. ტერმინთა აღნიშნულ სიმრავლეს ემატება ცალკეული ქვეყნების დანაშაულის სოციოლოგიაში მიღებული ტერმინები და ცნებები, ამერიკულში „დელიქვენტობა“, ინგლისურ-ამერიკულ სისხლის სამართალში „ტრიზნი“, „ფელონიები“ და „მისდიმინორი“ (treasons, felonies, misdemeanours). ეს ტერმინები შუა საუკუნეებიდან არის ინგლისურ სამართალში და სხვადასხვა ცნების შინაარსს გამოხატავს. „ტრიზნი“ ნიშნავს სახელმწიფოს ღალატს, „ფელონიები“ ისეთ დანაშაულთა კატეგორიებს, როგორიცაა მკვლელობა, გაუპატიურება, ქურდობა თუ სხვა. „მისდიმინორი“ უფრო ნაკლებად საშიშ დანაშაულთა აღმნიშვნელია, მისით გამოხატავენ იოლი ფორმის დანაშაულებს, რომელნიც ემიჯნებიან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს – სიყალბე, ცრუმოწმეობა და სხვა. ამ ტერმინებს შორის ინგლისურ და ამერიკულ კრიმინოლოგიაში ყველაზე მეტად გავრცელებულია „დელიქვენტობა“, რომელიც განისაზღვრება ერთ შემთხვევაში, როგორც არანორმალური ქცევის გამოვლენა (იხ. ლეზლი ვილკინსი), ხოლო მეორე შემთხვევაში, როგორც სამართლის დარღვევისადმი ფსიქოლოგიური ტენდენცია. ის თავისებურად გამოხატავს კანონსაწინააღმდეგო მოქმედების განწყობასაც და თვით კანონსაწინააღმდეგო მოქმედებასაც.[4]

კრიმინოლოგიაში არსებობს დანაშაულობის განსაზღვრის რამოდენიმე მიდგომა. მათში ასახულია ავტორთა ფილოსოფიურ შეხედულებათა, სოციოლოგიური სკოლებისა და მიმართულებების, სამართლებრივ და რელიგიურ წარმოდგენათა გავლენა. თითქმის ყველა მეცნიერულ ნაშრომში ხაზგასმულია დანაშაულობის ისტორიულობისა და სოციალური ბუნების გათვალისწინების პრიორიტეტულობა.

[3] И. И. Карпец , Преступность: иллюзии и реальность, М., 1992, с. 69

[4] ე.კოდუა, ,,სოციოლოგია'', II ნაკვეთი, თბ., 1998, გვ.229

მაგრამ მიუხედავად შემოთავაზებულ მიდგომათა მრავალფეროვნებისა, ამ ეტაპზე კრიმინოლოგებს არ ძალუძთ მოგვცენ დანაშაულობის ცნება.[5]

თანამედროვე კრიმინოლოგიაში დანაშაულობის გაგება-შემეცნების სამი ძირითადი მიდგომა არსებობს 1) ლეგალისტური – დანაშაულობა არის ის, რაც აკრძალულია კანონით; 2) სოციალურ-რეაქციული, რომლის თანახმად დანაშაულებრივია ის, რაც იკიცხება საზოგადოების, სახელმწიფოს მიერ და რისთვისაც დაწესებულია სასჯელები და 3) კრიტიკული – რომელიც არ იზიარებს ხსენებულ ორ მიდგომას და ჩვენი აზრით, დაფუძნებულია ე. დიურკჰეიმის თეზისზე, რომლის თანახმად: „დანაშაულობა საზოგადოებისათვის ნორმალური მოვლენაა“.[6]

2.1.1 დანაშაულზე სოციალური კონტროლის თავისებურებანი დანაშაულობის იურიდიულ განსაზღვრებასთან მიმართებით

დანაშაულობის ლეგალისტური განსაზღვრის მომხრეთა შორის გავრცელებულია დანაშაულობის შემდეგი ტიპის ცნებები: „დანაშაულობა მთლიანი სოციალურ-სამართლებრივი მასობრივი მოვლენაა, რომლის საფუძველს შეადგენს დანაშაულის ნიშნების მქონე ქმედებათა და ასეთ ქმედებათა ჩამდენ პირთა ერთობლიობა გარკვეულ ტერიტორიაზე და გარკვეული დროის განმავლობაში“. ასევე, დანაშაულობა არის სოციალური, ისტორიულად ცვლადი, მასობრივი, სისხლისსამართლებრივ-სისტემური მოვლენა, რომელიც თავის მხრივ ვლინდება სოციალურად საშიშ სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებათა და მათ ჩამდენ პირთა ერთობლიობაში გარკვეულ ტერიტორიაზე, დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში.[7] ამ შეხედულებათა თანახმად, სოციალური კონტროლი უნდა განვახორციელოთ მხოლოდ სისხლის სამართლის კანონით აკრძალულ ქმედებებზე და გამოყენებული უნდა იქნას სოციალური კონტროლის მხოლოდ ისეთი საშუალება, როგორიცაა სისხლისსამართლებრივი სასჯელი. თუმცა ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან კრიმინოლოგია საბჭოთა მეცნიერების მიერ იურისტთა

---

[5] კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში, თბ., 2008, გვ. 41-42.

[6] Д. А. Шестаков, Криминология, СПТ, 2006, с. 22

[7] ზ. წულაია, „კრიმინოლოგია“, ზოგადი ნაწილი, თბ., 1998, გვ. 45

შესწავლის კომპეტენციად მიიჩნეოდა; მეცნიერები, მათ შორის გერცენზონი და შლიაპოჩნიკოვი კრიმინოლოგიას სისხლის სამართლის მეცნიერების შემადგენელ ნაწილად განიხილავდნენ, შესაბამისად არ ეთმობოდა სათანადო ყურადღება, კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის თეორიულ საფუძვლებს. აღნიშნულ საკითხს ეხმაურება პროფესორი გ. ნაჭყებია, როდესაც აღნიშნავს, რომ „...იმხანად კრიმინოლოგია უგულვებელყოფილი იყო, რის გამოც სისხლის სამართლის მეცნიერების საგანში შეტანილი იყო დანაშაულობა და მისი მიზეზები.“ [8]

საზოგადოებაში ადამიანთა ქცევის რეგულირება ვერ მოხერხდება, თუ მათი საქციელი არ შეფასდა და მათი ჩადენისათვის არ დადგინდება პასუხისმგებლობის ზომა. ამა თუ იმ მოქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასება, უპირველესად, არის მისდამი სახელმწიფოს დამოკიდებულების შედეგი. ასეთი შეფასების ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის მოქმედებათა და საქციელთა მთელი მრავალფეროვნებიდან გამოყოფა და ამა თუ იმ საზოგადოების ინტერესების შესაბამისად ფასდება ისეთები, რომლებიც საზოგადოებას ყველაზე მეტად ვნებენ და სოციალურად უფრო საშიშნი არიან. მოცემული ნიშანი ძირითადია ქმედების დანაშაულებრივად აღიარებისათვის. სისხლისსამართლებრივ კატეგორიებს და ცნებებს ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვთ არა მარტო სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის, არამედ სხვა სამართლებრივ და სოციალურ-სამართლებრივი მეცნიერებებისთვისაც, მათ შორის კრიმინოლოგიისთვისაც.

კრიმინოლოგიის მეცნიერების განვითარების ამ კონკრეტულ ეტაპზე, შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულობა სამართლებრივი მოვლენაცაა. მიუხედავად იმისა, რომ სამართალიც სოციალური კატეგორიაა, მითითება დანაშაულობის სამართლებრივ ხასიათზე ატარებს პრინციპულ ხასიათს. იგი ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს - nullum crimen sine lege - (არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე), რაც განმტკიცებულია მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობებით, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს სისხლის სამართლის

[8] გ.ნაჭყებია, „სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი“, თბ., 1998, გვ. 28.

კოდექსის პირველივე მუხლში ნათქვამია, რომ სისხლის სამართლის კოდექსი „განსაზღვრავს თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი“.[9]

დანაშაულობა მასობრივი მოვლენაა. არსებული ინფორმაციით, დარეგისტრირებული დანაშაულების საერთო რიცხვმა, 2000 წლისათვის, მთელს მსოფლიოში შეადგინა 500 მილიონი. სამართლებრივი მიდგომიდან, ნათლად ჩანს, რომ დანაშაულად და საერთო ჯამში დანაშაულობად, ითვლება სისხლის სამართლის კოდქსით აკრძალული ქცევა.დანაშაულად კრიმინოლოგიაში მიჩნეულ უნდა იქნეს ადამიანის ისეთი ქცევა, რომელსაც საზოგადოება იმდენად საშიშად მიიჩნევს, რომ საჯაროდ რეაგირებს მასზედ. კრიმინოლოგიაში, დანაშაულობაზე შეხედულება არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ კანონით, დანაშაულად უნდა მივიჩნიოთ ქმედება, რომელიც საზოგადოებისათვის მომეტებულ საშიშროებას წარმოადგენს. საქართველო, ქართული საზოგადოება დღევანდლამდე მოიყვანა რელიგიური მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი თავდადებამ, ზნეობის ნორმებისა და ისტორიულად დამკვიდრებული წეს-ჩვეულებების ერთგულებამ. ამდენად ისმის კითხვა, რა უფრო მნიშვნელოვანია ქართული საზოგადოებისათვის მორალი თუ ის კანონები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გამოხატავენ მმართველი ფენის, უმცირესობის ინტერესებს. პასუხი ნათელია, ქრისტიანული მორალისა და საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ზნეობის ნორმების შესაბამისად ცხოვრებას ყოველთვის პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი კაცი კანონთან მიმართებით. გადავხედოთ სულ ახლო წარსულს, ბოლშევიკების მმართველობის პერიოდს, როდესაც რწმენა დანაშაულად ითვლებოდა, მორწმუნეებს სდევნიდნენ., მღვდლებს მასობრივად ხვრეტდნენ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი ხელაია იმისათვის დასაჯეს, რომ გენუის კონფერენციას შესჩივლა კომუნისტების მიერ ქართველ მღვდელმთავართა დევნის შესახებ. იმხანადაც კი ქართველი კაცი კანონზე მაღლა რელიგიაზე დაფუძნებულ მორალის ნორმებს აყენებდა. ზემოაღნიშნული მსჯელობა მოვიყვანეთ იდეის წინ წამოწევისათვის, რომლის თანახმად ქართული

[9] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, www.parliament.ge.

კრიმინოლოგიაში საერთო ადგილი დაიკაონ დანაშაულებმა და ამორალურმა ქმედებებმა, ხოლო პრიორიტეტული მნიშვნელობა, ჩვენის აზრით, უნდა მიენიჭოს სწორედ ამორალურ ქმედებებზე სოციალურ კონტროლს და გამოვიდეთ იმ აზრიდან, რომ დანაშაული კრიმინოლოგიაში ამორალური ქმედებების ერთ-ერთი სახესხვაობაა.[10]

უკანასკნელ პერიოდში, მეცნიერების განვითარებასთან ერთად შეიქმნა დანაშაულობის უფრო კონკრეტული განსაზღვრება, კერძოდ, „დანაშაულობა ეს არის უარყოფითი სოციალურ-სამართლებრივი მოვლენა, არსებობს ადამიანთა საზოგადოებაში, გააჩნია თავისი კანონზომიერებანი, თვისობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები, მოაქვს საზოგადოებისა და ადამიანებისათვის ნეგატიური შედეგები და მოითხოვს სპეციფიკურ კონტროლს სახელმწიფოს და საზოგადოების მხრიდან.“

დანაშაულობა არსებობს ადამიანთა გაჩენის მომენტიდან, სამართლებრივი ელემენტი დანაშაულობაში შემოდის მას შემდეგ, რაც საზოგადოება დაიყო კლასებად და გაჩნდა სახელმწიფო და სამართალი. მისი გენეზისი უნდა ვეძებოთ იმ დროიდან, როდესაც ღმერთმა შეჰქმნა „ხატად თვისად“ ადამიანი, მაშასადამე დანაშაულობა არსებობდა გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე სახელმწიფო და სამართალი. დანაშაულობის საწყისად უნდა მივიჩნიოთ ბიბლიური ადამისა და ევას მიერ ღვთის მცნების დარღვევა, გავიხსენოთ შემდგომში კაენის მიერ აბელის მკვლელობა (რომელი მუხლით რეგულირდებოდა ამ დროისათვის მკვლელობა?), სოდომის ცოდვა, რასაც თანამედროვე საზოგადოება ჰომოსექსუალიზმს უწოდებს და რომელიც სულ ახლო წარსულში, მხედველობაში გვაქვს პოსთსაბჭოთა საქართველო, მიჩნეული იყო დანაშაულად და რეგულირდებოდა სისხლის სამართლის წესით. აქედან გამომდინარე, გვსურს აღვნიშნოთ, რომ დანაშაულობა წარმოიშვა სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობამდე, ამდენად, შესაძლოა დანაშაულობა რელიგიურ მოვლენადაც მივიჩნიოთ.აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა დროს დანაშაულად ცნობილი ქმედებათა წრე

[10] ზ. წულაია, „კრიმინოლოგია“, ზოგადი ნაწილი, თბ., 1998, გვ. 48

მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ერთ სახელმწიფოში დანაშაულად მიჩნეული ქმედება, მეორე სახელმწიფოში ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმებოდა, გარდა ამისა, ის რაც ადრე დანაშაულად მიიჩნეოდა, მაგ. ჰომოსექსუალიზმი, დღეისათვის დეკრიმინალიზაცია განიცადა და უდანაშაულოდ ითვლება, თუმცა ამავე დროს იგი ზიანს აყენებს საზოგადოების ნორმალურ განვითარებას.[11]

დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის კვლევისას, ბუნებრივია გვერდს ვერ ავუვლით, დანაშაულობის ისეთ სახესხვაობას, როგორიცაა ლატენტური დანაშაულობა.ლატენტური დანაშაულობა იყოფა სამ შემადგენელ ნაწილად:

1. განუცხადებელი დანაშაულები და კანონდარღვევები, რომლებიც ჩადენილ იქნენ, მაგრამ დაზარალებულები, მოწმეები, და სხვა მოქალაქეები, რომელთა მიმართაც ქმედება იქნა ჩადენილი, რომელთა თვითმხილველებიც ისინი იყვნენ და რის შესახებაც მათ ინფორმაცია გააჩნდათ, არ შეატყობინეს სამართალდამცავ ორგანოებს;
2. დაურეგისტრირებელი დანაშაულები და კანონდარღვევები, რომელთა შესახებ სამართალდამცავები ინფორმირებულნი იყვნენ, მაგრამ მათ ისინი არ დაარეგისტრირეს და არ გამოიძიეს სუბიექტური შეხედულებების საფუძველზე;
3. დაუდგენელი დანაშაულები და კანონდარღვევები, რომელთა შესახებაც განცხადებული იყო, მაგრამ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა დაუდევრობის, არაპროფესიონალიზმის, არასწორი სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის და სხვა მსგავსი მიზეზების გამო, ვერ მოახერხეს ფაქტის დადგენა.ლატენტურ დანაშაულობათა მასშტაბების სრული სიზუსტით განსაზღვრა, როგორც წესი, შეუძლებელია. ისინი დგინდებიან სხვადასხვა სოციოლოგიური, სტატისტიკური და ანალიტიკური მეთოდების გამოყენების გზით. კერძოდ, სისხლისსამართლებრივი სტატისტიკის შედარებითი ანალიზით, სამედიცინო დაწესებულებათა მონაცემებით, რომლებიც შეეხება სხეულის სხვადასხვა დაზიანებებს, სისხლის სამართლის აღრიცხვის ადმინისტრაციულ

[11] С.С. Босхолов , Латентные преступления против личности, Минск, 1984, с. 23

სამართალდარღვევათა და დისციპლინარულ გადაცდომათა მონაცემების შეპირისპირებით, საჩივრების სტატისტიკით, მოქალაქეთა წერილობითი განცხადებებით სამართალდამცავ ან სხვა სახელმწიფო ორგანოებში, მოქალაქეთა, მსჯავრდებულთა და პატიმართა გამოკითხვით, სპეციალისტთა საექსპერტო შეფასებებით. დადასტურებულია, რომ რაც უფრო ნაკლებად მძიმე კატეგორიაა დანაშაულისა, მით უფრო დაბალია მისთვის ლატენტურობის კოეფიციენტი. ზოგიერთი საერთაშორისო კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით, განუცხადებელი დანაშაულები და კანონდარღვევები შეადგენენ 50 პროცენტზე მეტს ფაქტიურად ჩადენილებისაგან განსხვავებით. სხვადსხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, ისეთი ცალკეული დანაშაულები, როგორიცაა გარყვნილი ქმედება სსკ მუხ. 140, სქესობრივი კავშირი ან სექსუალური მოქმედება 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სსკ მუხ 141, მომხმარებლის მოტყუება სსკ მუხ 219 და დანაშაულები თუ კანონდარღვევები შესაძლოა მაღალი ლატენტურობით გამოირჩეოდნენ ვიდრე მკვლელობები, სხეულის მძიმე დაზიანებები და სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიკუთვნებული დანაშაულები. ანუ აქ ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ რაც უფრო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთან გვაქვს საქმე, მით მეტია მისი ლატენტურობის ხარისხი. მსოფლიო მასშტაბით ჩატარებული კვლევის შედეგად, რომლის დროსაც გამოყენებულ იქნა გამოკითხვის მეთოდი, დადგინდა, რომ ადამიანების 85% მზადაა განცხადებით მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს, თუკი მათთვის ცნობილი გახდება განზრახი მკვლელობის ფაქტი, 36% - ხულიგნობის, 2%-უკანონო აბორტის შესახებ.[12]

საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ გადადგმულია პროგრესული ნაბიჯები სამართალდამცავი ორგანოების განვითარებასთან დაკავშირებით, განუცხადებელი დანაშაულები ძირითადად დაკავშირებულია იმასთან, რომ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს არ გააჩნია სამართლის პოვნის სურვილი, ამდენად, კანონდარღვევათა ფაქტები ხშირია, მაგრამ სამართალდამცავი სტრუქტურებისადმი მიმართვის ფაქტები არის იშვიათი. დაურეგისტრირებელი დანაშაულები ატარებენ

[12] С.С. Босхолов , Латентные преступления против личности, Минск, 1984, с. 25-26.

საერთაშორისო ხასიათს, მაგრამ ისტორიული და სხვა მიზეზების გამო ისინი განსაკუთრებით ფართოდ არიან გავრცელებულნი საქართველოში, ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვეძებოთ სამართალდამცავი ორგანოების საკადრო და ტექნიკურ პრობლემებში, თანამშრომელთა სუსტ პროფესიულ მომზადებასა და სისხლის სამართლის იუსტიციაში ჯერ კიდევ არსებულ კორუფციაში. – დარეგისტრირებული და გამოუძიებელი დანაშაულები სისხლის სამართლის კუთხით გვევლინება, ფორმალურად, კანონიერ მოვლენად,თუმცა კრიმინოლოგიური ხედვით, რეალურად ჩადენილი, მაგრამ დაუმტკიცებელი დანაშაულები ლატენტურად შეირაცხებიან. ლატენტურ დანაშაულობათა არსებობა მოწმობს, რომ საზოგადოებამ და სახელმწიფომ არ იციან რეალურად არსებული კრიმინოლოგიური ვითარება ქვეყანაში და არ შეუძლიათ მიიღონ ადექვატური ზომები დანაშაულობის სოციალური კონტროლისათვის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ლატენტური დანაშაულობის არსებობა არღვევს ადამიანთა უფლებებს, ხოლო ლატენტურობის დონის შემცირება და მისი სისტემატური მონიტორინგი საშუალებას მოგვცემს შევიმუშაოთ ეფექტური ზომები დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის განსახორციელებლად.[13]

2.1.2 დანაშაულზე სოციალური კონტროლის თავისებურებანი ,,უმსხვერპლო დანაშაულობასთან'' მიმართებით

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისეთი ქმედებანი, როგორებიცაა ნარკოტიკების მოხმარება, პროსტიტუცია, ალკოჰოლიზმი და თვითმკვლელობანი, საზღვარგარეთის კრიმინოლოგიაში „უმსხვერპლო დანაშაულებად იწოდებიან". „უმსხვერპლო დანაშაულობის" არსი მდგომარეობს შემდეგში, კერძოდ: ობიექტური ზიანი, რომელიც მოაქვს უარყოფით, გადახრით ქცევას (დევიაციას) და საზოგადოების სუბიექტური შეფასება აღნიშნული ზიანის მიმართ, ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა. ასეთი შეუთავსებლობა დაკავშირებულია საზოგადოებაში ზნეობრივი პრინციპების ცვალებადობასთან, მაგ. საზოგადოების ნაწილი

[13] გ.ნაჭყებია, „სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი", თბ., 1998, გვ. 25

სათანადოდ ვერ აფასებს ნარკომანიის გავრცელებას, პროსტიტუციისგან მიღებულ ზიანს, თვითმკვლელობათა რიცხვს და სხვა მსგავს მოვლენებს. 90-იან წლებში აშშ-სა და დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში საფუძველი ჩაეყარა მიმდინარეობას, რომლის თანახმად, ე.წ. „უმსხვერპლო დანაშაულები“ როგორებიცაა – ნარკოტიკების მოხმარება, პორნოგრაფია, პროსტიტუცია, აზარტული თამაშები, მამათმავლობა და სხვა – ამოღებულიყო სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან და მომხდარიყო მათი დეკრიმინალიზაცია, თუმცა აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ასეთ დროს სწორედ მსხვერპლთან გვაქვს საქმე და არა სხვა მოვლენასთან, კერძოდ ასეთი ადამიანები, უპირველეს ყოვლისა, ზიანს აყენებენ საზოგადოებას, თავიანთ და სხვის ოჯახებს, მოზარდ-ახალგაზრდობას; ხოლო მოსაზრება, რომ ნარკოტიკების მოხმარება, ალკოჰოლიზმი, თვითმკვლელობა და სხვა დევიანტური მოვლენები - სუბიექტის უაღრესად პირადული პრობლემაა, მისი მორალური უფლებაა – ჩვენი მოსაზრებით მცდარი ლოგიკაა. მართალია, ცხოვრებისეული პირობები ყოველ კონკრეტულ ინდივიდს სხვადასხვაგვარი აქვს, როგორც გაუმჯობესებული, ასევე, რთული და ტრაგიკულიც კი, მაგრამ თუკი მათ მთლიანობაში განვიხილავთ, მაშინ არ შეიძლება, რომ ისინი არ მივიჩნიოთ სოციალურ ბოროტებად, რომელსაც არ გააჩნია მორალური გამართლება. პირები, რომლებიც ხდებიან ნარკომანიის, ალკოჰოლიზმისა თუ სხვა დევიაციური გამოვლინებების მსხვერპლნი, ალბათობის მაღალი ხარისხით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საბოლოო ჯამში ყალიბდებიან პოტენციურ დამნაშავეებად. ისინი ვეღარ უმკლავდებიან ცხოვრებისეულ სირთულეებს, ვერ გამოიმუშავებენ საარსებო მინიმუმს, ამავე დროს, არ გააჩნიათ შესაძლებლობა დაიკმაყოფილონ თავიანთი გადახრითი მოთხოვნილებები და ძალაუნებურად, თავისთავად, ხდებიან დამნაშავეები (დაუოკებელი მოთხოვნილე-ბიდან ალკოჰოლის, ნარკოტიკის მიღებიდან გამომდინარე, იძულებულნი არიან ჩაიდინონ ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა და ა.შ.). ხოლო ისეთი მოვლენა, როგორიცაა თვითმკვლელობა, შუასაუკუნეების რუსეთში მიჩნეული იყო დანაშაულად და კვალიფიცირდებოდა სისხლის სამართლის წესით.

თვითმკვლელობის ნებისმიერი მცდელობისათვის დაწესებული იყო უმკაცრესი სისხლისსამართლებრივი სანქციები, რადგან თვითმკვლელობა, ისევე, როგორც სხვა სახის დევიაციური მოვლენები, მიჩნეული იყო მომეტებულ სოციალურ საშიშროებად, რაც საბოლოო ჯამში აფერხებს საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებას. ამდენად, ზოგიერთი კრიმინოლოგის მისწრაფება იმისკენ, რომ „გათავისუფლდეს“ კრიმინოლოგია მსგავს ქმედებებზე სოციალური კონტროლისაგან, მცდარია და საფუძველს მოკლებული. თუმცა, ამავე დროს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ნებისმიერი დევიანტური გამოვლინების დანაშაულად (აქ განვმარტავთ, რომ კრიმინოლოგიის მეცნიერებაში დანაშაულობად არ მიიჩნევა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედებანი, კრიმინოლოგიური შეხედულება დანაშაულობაზე გარკვეულწილად ემიჯნება სისხლის სამართლებრივს. კრიმინოლოგია დამოუკიდებელი მეცნიერებაა და შესაბამისად უნდა გააჩნდეს თავისი ცნება დანაშაულობისა, რაც ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ და განსაზღვრულ იქნა ჩატარებული მეცნიერული კვლევების საფუძველზე. მიჩნევა და მისი დარეგულირება საკანონმდებლო წესით, ბუნებრივია უტოპიამდე მიგვიყვანს. კანონთა სიმრავლე სახელმწიფოში იგივეა, რაც დიდი რაოდენობა მკურნალებისა: ნიშანი ავადმყოფობისა და უძლურებისა – აღნიშნავს სპენსერი.[14]

დანაშაულობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით თანდათანობით და ეტაპობრივად იზრდება, იმის განურჩევლად, თუ რომელი საზოგადოებრივი სისტემაა ამა თუ იმ სახელმწიფოში – კაპიტალისტური, სოციალური თუ შერეული. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით, არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ დანაშაულობის მატება შეწყდება. მეცნიერ-კრიმინოლოგების გათვლებით, დანაშაულობის საშუალო წლიური მატება მსოფლიოში უახლოეს წლებში მოსალოდნელია 3-5%-ით. დარეგისტრირებული დანაშაულების მოსალოდნელი საშუალო კოეფიციენტი შეადგენს 6-8 ათასს 100.000 მოსახლეობაზე, მათი ფაქტიური რაოდენობა კი იქნება დასახელებულ ციფრებზე 2-3-ჯერ მეტი; ასე რომ, 2015-2020 წლებისათვის დამნაშავეთა რაოდენობა შესაძლოა

[14] გ.ნაჭყებია, „სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი“, თბ., 1998, გვ. 30

მიუახლოვდეს მოსახლეობის რაოდენობას. დანაშაულობის მატება მიმდინარეობს ნორმალური საზოგადოებრივი თანაცხოვრების გარემოს ნგრევის, ოჯახების რღვევის, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, თვითმკვლელობათა და სხვა გადახრითი ქცევების გავრცელების პარალელურად. საზოგადოების აღნიშნული ავადმყოფური ცვლილებანი მიმართულია კაცობრიობის თვითგანადგურების ტენდეციისაკენ. ამ საკითხს ეხმაურება საქართველოს ექსპრეზიდენტი ე. შევარდნაძე, რომლის მიმართვაშიც გაეროს გენ. მდივნის, გაეროს წევრი ქვეყნების წარმომადგენლების, ყველა საერთაშორისო, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „კაცობრიობამ, როგორც მონოპოლურმა სახეობამ, თვითგადარჩენის ინსტიქტი დაკარგა და საკუთარი თავის სახით სასიკვდილო მტერი შეიძინა, ჩვენ ვკარგავთ თანამედროვეობის გლობალური რისკის აღმოფხვრისთვის საჭირო დროსა და შესაძლებლობას"[15] დასახელებული პროცესები ძნელად საკონტროლებელია სახელმწიფოს მხრიდან. ჯერ-ჯერობით ცვლილებები უკეთესობისაკენ არ შეიმჩნევა. იმისათვის, რომ განხორციელდეს დადებითი ძვრები,საჭიროა ალბათ კიდევ უფრო დიდი გლობალური კრიზისის წარმოქმნა – კატასტროფის ზღვარზე მყოფი კრიზისის – რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს და აიძულოს მსოფლიო საზოგადოება, რომ გააცნობიეროს, გაითვიცნობიეროს თუ რას უქადის კაცობრიობას მომავალში დანაშაულობა. აქვე აღვნიშნავთ, რომ საზოგადოება შეეჩვია იმ გარემოებას, რომ დანაშაულობა სოციალური ცხოვრებისათვის ჩვეულებრივი დამახასიათებელი მოვლენაა. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება მოსახლეობაში განსაკუთრებით გავრცელებულ დანაშაულთა სახეებს, მაგ. ქურდობას, ძარცვას, მექრთამეობას, ნარკოტიკების მოხმარებას და ა.შ. თუმცა, მოსახლეობის მოთმნება დანაშაულობის განსაკუთრებით საშიში გამოვლინებების მიმართ, განუსაზღვრელი არ არის, აშკარაა, რომ არსებობს ზღვარი, რომლის იქეთაც შესაძლოა წარმოიშვას სტიქიური რეაქცია, იმდენად რამდენადაც

[15] ,,ოჯახური ძალადობა'' http://www.presa.ge. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.04.2019.

დანაშაულობის წინაშე შიში და გამოუვალი მდგომარეობის არსებობა ყოველდღიური პრობლემა ხდება და ამცირებს საზოგადოების მოთმინებას.[16]

2.2 ოჯახური ძალადობა

ოჯახში ძალადობა კომპლექსური მოვლენაა, რომელსაც ფესვები ღრმად აქვს გადგმული საზოგადოების ორგანიზაციის სტრუქტურაში, კულტურულ რწმენებსა და სქესთაშორის ძალაუფლების უთანასწორო გადანაწილებაში. ოჯახური ძალადობა ყველა საზოგადოებაში ხორციელდება და მიზნად ისახავს ერთი სქესის (უმეტეს შემთხვევაში ქალების) სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ დაქვემდებარებას მეორე სქესისადმი.

[16] ზ. წულაია, „კრიმინოლოგია“, ზოგადი ნაწილი, თბ., 1998, გვ. 50

მეცნიერული კვლევების მიხედვით, ოჯახში ძალადობა ერთი წევრის მიერ მეორეს მიმართ ძალაუფლებისა და კონტროლის დამყარების მიზნით ხდება. თუმცა საქართველოში ჩატარებული კვლევების შედეგად უმრავლესობა ოჯახში ძალადობის ძირითად მიზეზად უმუშევრობას, ალკოჰოლიზმს, ნარკომანიასა და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს ასახელებს. სინამდვილეში კი ოჯახში ძალადობა ერთნაირად არსებობს, როგორც ჩამორჩენილ, ასევე ეკონომიურად განვითარებულ ქვეყნებში. ჩამოთვლილი ფაქტორები მხოლოდ ძალადობის ხარისხზე მოქმედებენ და გარკვეულწილად პროვოცირების ელემენტებად შეიძლრბა განიხილებოდეს. ხშირად ქალების უმეტესობა იმიტომ ითმენს მასზე ძალადობას, რომ არ გააჩნიათ საკუთარი შემოსავალი, არ აქვთ სხვაგან წასასვლელი, ქმრის დახმარების გარეშე ვერ უზრუნველყოფენ შვილების მომავალს. აქედან გამომდინარე ,,წირავენ" საკუთარ თავს და იძულებულები ხდებიან აიტანონ, როგორც სიტყვიერი, ისე ფიზიკური შეურაცყოფა. [17]

ოჯახში ძალადობის, ისევე , როგორ ზოგადად ძალადობის შემთხვევაში არსებობს სამი კომპონენტი: 1. მსხვერპლი; 2. მოძალადე; 3. ქმედება (ძალადობა). საქართველოს კანონმდებლობით მსხვერპლი არის ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობა ან იძულება.

მოძალადე არის ოჯახის წევრი, რომელიც ოჯახის სხვა წევრის მიმართ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობა ან იძულებას ახორციელებს. ოჯახის წევრი – ამ კანონის მიზნებისთვის, დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო. [18]

---

[17] ,,ოჯახში ძალადობა'' http://www.education.ge./ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 16.04.2019

[18] საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, https://matsne.gov.ge/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 13.04.3019

ოჯახში ძალადობას გააჩნია საკუთარი მახასიათებლები და თავისებურებები, ანუ ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვით ხდება ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირება. ოჯახში ძალადობა არ არის ერთჯერადი ქმედება - ეს არის პროცესი, რომელიც შედგება ძალადობის განმეორებადი ციკლებისგან და დამყარებულია მოძალადის და მსხვერპლის ურთიერთობაზე. ოჯახში ძალადობა დროში გახანგრძლივებულია და აქვს ზრდის ტენდეცია. ძალადობის სუბიექტები როგორც წესი ერთმანეთზე არიან დამოკიდებულები, ამიტომ უმეტეს შემთხვევაში ოჯახი მალავს ამ ფაქტს.

ზოგადად ოჯახურ ძალადობას ,,უხილავ" ძალადობას უწოდებენ, მაგრამ ბოლო დროს საქართველოში მომრავლდა ფაქტები, რომელიც ფატალური შედეგებით მთავრდება. ცოლ-ქმარს შორის ჩადენილი მკვლელობების შესწავლამ გამოყო კონფლიქტების ორი ძირითადი ჯგუფი, რომლებმაც ისინი მიიყვანა დანაშაულის ჩადენამდე. სახელდობრ, ესენია: ა) შიდაოჯახური ურთიერთობათა წინააღმდეგობანი და ბ) წინააღმდეგობანი, განპირობებული გარე კომუნიკაციებით.[19]

რაც შეეხება ძირითად კრიმინოლოგიურ ფაქტორებს, რომლებიც საფუძვლად ედება მეუღლეთა საწინააღმდეგო მძიმე ძალმომრეობით დანაშაულთა ჩადენას, ასეთად უნდა მივიჩნიოთ: დომინირების, ცოლქმრული ღალატის, განთავისუფლებისაკენ სწრაფვისა და ანგარების ფაქტორები. თავისთავად ცხადია, რომ რეალურ ცხოვრებაში ხშირად ეს ფაქტორები გამოდიან არა იზოლირებულად, არამედ ერთობლივად.

დომინირების კონფლიქტი. ამ კონფლიქტს მეუღლის წინააღმდეგ ძალმომრეობითი დანაშაულის განხორციელებაში უკავია 80,5% და მას საფუძვლად ედება ურთიერთპრეტენზიები წარმოშობილი, ქმრის, ცოლის ან ორივეს მხრიდან ერთად ლოთობასთან დაკავშირებით; ასევე უთანხმოება ოჯახური მოვალეობის შეუსრულებლობის გამო; აზრთა სხვადასხვაობა აღზრდის, შვილების გაჩენის, ფინანსების განაწილების საკითხებში; პრეტენზიები ავტორიტარულობაზე ოჯახში; ერთ-ერთი მეუღლის უთანხმოება მეორის მეგობრებთან, ოჯახის ერთ-ერთი მეუღლის ალკოჰოლისადმი ლტოლვა, რასაც ერთვის სხვების უუნარობა სწორად

[19],, ოჯახში ძალადობა'' http://www.education.ge./ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული- 13.04.3019

ააგონ მასთან ურთიერთობა. როგორც ცხადყოფენ სოციოლოგიური გამოკვლევები, ხშირად ცოლის მიმართ სისასტიკის გამოვლენა დაკავშირებულია სიმთრალესთან. ესე იგი ალკოჰოლური სიმთვრალე თავისებური კატალიზატორია, რომელიც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ძალმომრეობით დანაშაულის ჩადენაზე.

ცოლქმრული ღალატის კონფლიქტი.ეს კონფლიქტი, რომელიც დასრულებულ სახეს ღებულობს ძალმომრეობით დანაშაულებრივ ქმედების განხორციელების შედეგად მეუღლის წინააღმდეგ, ვითრდება ასეთი ფაქტორების ზემოქმედებით, როგორიცაა: ღალატის შესახებ ინფორმაციის მიღება; ერთმანეთის ერთგულებაში ეჭვის შეტანა; ქმრის ან ცოლის დაქორწინებამდე არსებული სქესობრივი კავშირების არსებობა და სხვ.

მნიშვნელოვან გარემოებად გვევლინება ასევე დაზარალებულის ღალატის დადგენა. გამოკვლევებით დადგენილია, რომ მამაკაცების მოქმედება, რომლებიც მსჯავრებულები იყვნენ მძიმე ძალადობით დანაშაულის ჩადენისათვის ცოლების წინააღმდეგ, განპირობებული იყო ცოლების ღალატით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცოლქმრული ღალატის კრიმინოლოგიური მნიშვნელობა გასხვავებულია სხვადასხვა სქესისათვის. ასე მაგალითად, მამაკაცებს ის მეტ ტრამვას აყენებს, რასაც მოწმობს ქმრების მიერ ეჭვიანობის გამო ჩადენილ დანაშაულთა დიდი გავრცელება. გამოკვლევებით დადგენილია, რომ ცოლქმრულ მკვლელობებში ქმრები ნაკლებად არღვევდნენ ერთგულებას დაზარალებულ ცოლებთან შედარებით. [20]

ცოლქმრული ურთიერთობის ცვალებადობა სხვადასხვა ფორმით როგორც ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობსდანაშაულის ჩადენას, ხშირად გვხვდება არა იზოლირებულად, არამედ წინა პლანზე წამოწეულ სხვადასხვა კონფლიკტებთან შეთავსებით. როგორც ჩანს, შიდაოჯახური დაძაბულობა უბიძგებს ცოლ-ქმარს ახალი ცხოვრების თანამგზავრთა მოძებნისაკენ.

განთავისუფლებისაკენ სწრაფი კონფლიქტი. ასეთ კონფლიქტი აღინიშნება მეუღლის წინააღმდეგ მძიმე ძალადობის ყოველ მეოთხე შემთხვევაში. ეს ის სიტუაციაა, როდესაც ერთ0-ერთ მეუღლე გარკვეული დროიდან ხდება ერთობ

[20] ი. ალადაშვილი, და სხვ. პოლიცია და ძალადობა ოჯახში, თბ., 2008წ, გვ.15

აუტანელი მეორესთვის, რაც, თავის მხრივ შეიძლება დაკავშირებული იყოს მსხვერპლის ავადმუყოფობასთან, ფეხმძიმობასთან, ცუდ ხასიათთან, მეუღლეების ფსიქოლოგიურ შეუთავსებლობასთან, აგრეთვე დამნაშავის დაქორწინების ახალ გეგმასთან.

ანგარების კონფლიქტი. ეს კონფლიქტი გვხვდება ცოლ-ქმრულ დანაშაულთა უმნიშვნელო ნაწილში. ამ შემთხვევაში საუბარია მკვლელობებით მემკვიდრეობის მიღების, დაზღვევის, ალიმენტის გადახდის მოვალეობისაგან თავის განთავისუფლების მიზანზე და სხვ. ანგარებით შიდაოჯახური მკვლელობების რაღაცა ნაწილი უერთდება ეგრეთ წოდებულ ,,საქორწინო ათვერას". ამ ნაწილის თავისებურ რეკორდსმენად ითვლებოდა ინგლისელი ჯ. სმიტი, რომელიც ლონდონში 1915 წელს სიკვდილით დასაჯეს იმისთვის, რომ თანმიმდევრობით წყალში დაახრჩო თავისი ექვსი ცოლი. ის, როგორც წესი, მათ ახრჩობდა აბაზანაში თაბლობის თვის პერიოდში ცოლის სიცოცხლის დაზღვევის გაფორმების შემდეგ.[21]

კონფლიქტურ სიტუაციებს ქმნიან ხან ერთი და ხან მეორე მხარე, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში კონფლიქტური სიტუაციების შექმნის ინიციატორებად მეტწილად ცოლები გამოდიან და მათი პროცენტული მაჩვენებლები 5-ჯერ სჭარბობს მამაკაცებისას. კრიმინოლოგიური ოჯახური კონფლიქტის გაღრმავებას ხშირად ხელს უწყობს ის, რასაც ფსიქოლოგიაში უწოდებენ სქესის არასაკმარისად აღზრდის იდენტიფიკაციას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეუღლეებს ცუდად აქვთ შეცნობილის თავისი მამაკაცობა და ქალურობა. ამის საფუძველზე კი, როგორც წესი, წარმოიშობა ყოველი მათგანის იდეალებისა და მიზნების გაურკვევლობა, ოჯახში თავისი სტატუსის გაუგებრობა. ბევრს სუსტად აქვს განვითარებული დიალოგის ხელოვნება, რაც იმაში გამოიხატება, რომ თითოეული მათგანი წარმოთქვამს საკუთარ ,,მონოლოგს" და თანაც თვითონვე პასუხობს მონოლოგში დასმულ საკითხებზე. ყოველივე ეს ხდება ისე, რომ არ ითვალისწინებს მეორე მხარის აზრს. ამ შემთხვევაში წარმოშობილ აგრესიულობას და თავშეჯავებულობას განსაზღვრავს თითოეული მათგანის ემოციურობის ხარისხი. მაღალი ემოციურობის ხარისხით

[21] ზ. წულაია, ოჯახის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა კრიმინოლოგიური დახასიათება, თბ.,1998, გვ,385

ხასიათდება მეუღლის საწინააღმდეგო და განსაკუთრებით მეუღლის ღალატთან დაკავშირებული დანაშაულებრივი ფაქტები. სქესობრივ სიყვარულთან დამოკიდებულებაში ემოციურობის ხარისხსა და მის შედეგებზე სახგასმას ვხედავთ მთელ რიგ ავთორთა შრომებში. ასე მაგალითად, ცნობილი ბულგარელი სასიყვარულო ურთიერთობათა მკვლევარი კირილე ვასილიევი წერს: სქესობრივი სიყვარულის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ როდესაც ის არ არის დაკმაყოფილებული, მას ჩვეულებრივ მოჰყვება ღრმა პირადი ტრაგედია.

ოჯახური ძალადობას ახასიათებს პირდაპირი და არაპირდაპირი მსხვერპლი. პირდაპირი მსხვერპლია ის ვინც უშუალოდ განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და სექსუალური ძალადობა თუ ზეწოლა. არაპირდაპირი მსხვერპლია ის ოჯახის წევრი, რომელიც შეესწრო ძალადობას და მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა განიცადა. ოჯახური ძალადობის არაპირდაპირ მსხვერპლს ოჯახის ქალიშვილ, რომელიც სისტემატურად ხედავს მამის მიერ დედაზე განხორციელებულ ძალადობას ჰგონია, რომ ეს ნორმალური მდგომარეობაა და საკუთარი ოჯახის შექმნის შემდეგ ქმრის მხრიდან ამგვარი სახის ძალადობას აღარ აღიქვამს უარუოფით მოვლენად, დანაშაულად.[22] ანალოგიური სიტუაცია იქმნება ვაჟის შემთხვევაშიც, როცა ბიჭი უყურებს მამის დამოკიდებულებას ცოლისადმი - მას ეს არ მიაჩნია დანაშაულად და იმეორებს მამის ქმედებებს საკუთარ ოჯახში.

ოჯახიის ბუნებრივი გარემოა, რომელშიც მისი წევრები ყველაზე უფრო დაცულად და კომფორტულად გრძნობენ თავს. თუმცა არსებობენ მოზარდები, ვისთვისაც ოჯახი უსაფრთხო ადგილი არ არის. ზოგიერთი მშობელი შვილის "გამოსასწორებლად" ბავშვს ართმევს თამაშის უფლებას, უკრძალავს თანატოლებთან ურთიერთობას, აიძულებს შეასრულოს მძიმე, ასაკისთვის შეუფერებელი სამუშაო ან ფიზიკურადაც კი სჯის. ცნობილია შემთხვევები, როცა ,,მოსარჯულებლად'' ბავშვს ბნელ ოთახში კეტავენ ან რამდენიმე დღის განმავლობაში საკვებს უზღუდავენ. თუ ბავშვის აღზრდის მიზნით განხორციელებული ქმედება ძალადობრივია და სისხლის სამართლის დანაშაულის

[22] მ. შალიკაშვილი , ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბ., 2011, გვ.153

ნიშნებს შეიცავს, კანონი პასუხისმგებლობას აკისრებს მშობელს. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე 19 მუხლის თანახმად „ბავშვი დაცული უნდა იყოს მშობლების ან ოჯახის წევრთა მხრიდან ყველა სახის ძალადობის, შეურაცხყოფის, უხეში მოპყრობისა და ექსპლუატაციისაგან“. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა; საზოგადოების უმეტესი ნაწილი თვლის, რომ ძალადობა აუცილებლად საჭიროა ბავშვის აღზრდისათვის და ეს საუკეთესო აღზრდის მეთოდია. ასეთ მშობლებს არ ადარდებთ ბავშვის ფსიქიკა. ძალადობრივმა მოპყრობამ შეიძლება ბავშვი თვითმკვლელობამდე მიიყვანოს. ხშირ შემთხვევაში კი ძალადობის მსხვერპლი ბავშვები თვითონაც მოძალადენი არიან.

ძალადობის ტერმინი მხოლოდ ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობას გულისხმობდა, მაგრამ ახლა მამაკაცების წინააღმდეგ ძალადობაც მოიაზრება. ქალები ძალადობას თავდაცვის ან შურისძიების მიზნით მიმართავენ. ისინი არ აყენებენ ფიზიკურ ზიანს, მაგრამ მოქმედებენ მამაკაცის ფსიქოლოგიაზე.

2.2.1 ოჯახური ძალადობის გამომწვევი მიზეზები

ვიდრე განვიხილავდე ოჯახური ძალადობის გამომწვევ მიზეზებს მიზან შეწონილად მიმაჩნია განვიხილო დანაშაულის გამომწვევი მიზეზების კრიმინოლოგიური ასპექტები. გამომდინარე იქიდან, რომ თუ არ ვიცით დანაშაულის გამომწვევი მიზეზები, რომლის შესწავლასაც ისტორიულად არ ეთმობოდა სათანადო ყურადღება ბუნებრივია გაგვიჭირდება ოჯახური ძალადობის მიზეზთა დადგენა. კლასიფიკაციის პირველი შემთხვევები გვხვდება კლასიკური მიმართულების იტალიელი იურისტის რომანოზის (Romagnosi) შრომებში. იგი დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს 4 ჯგუფად ყოფს: 1) საარსებო საშუალებების ნაკლებობა, 2) აღზრდის ნაკლებობა, 3) წინდახედულობის ნაკლებობა, და 4) მართლმსაჯულების ხარვეზი. აქედან ჩანს, რომ მიზეზთა პირველი ჯგუფი ეკონომიკური ხასიათისაა, მეორე ჯგუფი მორალური, მესამე და მეოთხე პოლიტიკური. მაგრამ, იმდენად, რამდენაადაც, დანაშაულობის მიზეზების

სიღრმისეული კვლევა არ აინტერესებდათ არც რომანოზის და არც მის თანამედროვე მეცნიერებს, დანაშაულობის მიზეზების შესწავლა ვერ ვითარდებოდა. [23]

საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ ნათლად განმარტას ძალადობას და მის სხვადასხვ სახეს. მაგალითად:

- **ფიზიკური ძალადობა** ეს არის ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;
- **ფსიქოლოგიური ძალადობა** – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;
- **იძულება** – ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;
- **სექსუალური ძალადობა** – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;
- **ეკონომიკური ძალადობა** – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში

[23] ც.გახოკიძე,და სხვ. ,,კრიმინოლოგია'' თბ., 2017, გვ.14

არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;[24]

ზემოთ ნახსენებ განმარტებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი. თუმცა ცხადია, არებობენ სხვდასხვა რისკ-ჯგუფები, რომლებიც პოტენციურად ყველაზე მეტად ხდებიან კიდეც ოჯახში (თუ სკოლაში) ძალადობის მსხვერპლნი: ესენი არიან ქალები, ბავშვები და მოხუცები, მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის არსი ნაკლებად იცვლება იმისდა მიხედვით, თუ ვინ არის მსხვერპლი, მაინც განსხვავებული მიზეზები და შედეგები აქვს ხოლმე მაგალითად ქალებზე ან ბავშვებზე ძალადობას. ეს მიზეზები შეიძლება ოთხ კატეგორიაში მოვათავსოთ: ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, კულტურული და ბიოლოგიური საკითხები:

- უმუშევრობა და სიღარიბე ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ითვლება. უმუშევრობა იწვევს სტრესს და დაძაბულ ურთიერთობებს ოჯახის წევრებს შორის;
- ქალის ეკონომიკური დამოკიდებულება მამაკაცზე (რის გამოც შესაძლოა ქალი მაინც დარჩეს მოძალადე მამაკაცთან)
- მშობლები, რომელთაც წარსულში განიცადეს ძალადობა, ხშირად თავადაც ხდებიან მოძალადეები.
- ბევრ კულტურაში არსებობს წარმოდგენა ოჯახში მამაკაცის დომინანტური როლის შესახებ. ამ როლის განსამტკიცებლად ისინი ხშირად მიმართავენ ძალადობას ოჯახის სხვა წევრების მიმართ, იქნება ეს ქალი თუ ბავშვი
- ძალადობა -კონფლიქტის გადაჭრის მიღებული მეთოდი. მაგ: მოძალადე მშობლები შესაძლოა მხოლოდ ასეთ ქმედებებს აღიარებენ ბავშვის აღზრდის საუკეთესო საშუალებად.
- ხშირ შემთხვევაში, ერთ-ერთი ან ორივე მშობლის გონებრივი შეზღუდულობაც წარმოადგენს ბავშვის მიმართ სხვადასხვა სახის ძალადობის,

[24] ძალადობის პრევენცია, http://gov.ge/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული, 01.05.2019.

განსაკუთრებით, სექსუალური ძალადობის მიზეზს. ჯანმრთელობის სხვადასხვა სახის პრობლემები ხშირად იწვევს გულგრილობას და უყურადღებობას ბავშვების მიმართ.

- ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილინი პოლიტიკაში, მედიაში, სამართალ დამცავ ორგანოებსა და სამედიცინო სფეროებში, რაც იწვევს მათ იდენტიფიცირებას მხოლოდ როგორც ოჯახის ნაწილად და არა დამოუკიდებელ ადამიანად.

ძალადობის შედეგები ისევე არაერთგვაროვანი შეიძლება იყოს, როგორც მისი გამომწვევი მიზეზები, მაგრამ პოზიტიური შედეგის არ ქონა ამ შემთხვევაში პირდაპირ გულისხმობს უარყოფით და ნეგატიურ მდგომარეობას. სპეციალისტთა მტკიცებით, ბავშვთა მიმართ ძალადობა უკვალოდ არ ქრება, შედეგად ხშირად ვიღებთ: მათ სიკვდილს სკოლამდელ ასაკში, მომავლის შიშს, კონფლიქტებს, აგრესიულობას, უვითარდებათ დაბალი თვითშეფასება, ეძალებიან ალკოჰოლს, ექცევიან კრიმინალური სამყაროს გარემოცვაში, მისდევენ პროსტიტუციას, უმეტეს შემთხვევაში თავადაც ხდებიან მოძალადენი (ახდენენ რა იდენტიფიცირებას მოძალადესთან). ქალების შეთმხვევაში ისინი პოტენციური მოძალდეები ხდებიან შვილების მიმართ, კარგავენ საკუთარი თავის რწმენას, აქვთ მარტოობის და უსმართლობის განცდა. ერთად ან ცალ-ცალკე გამოხატული ყველა ეს შედეგი მნიშვნელოვან ადამიანური რესურსის გაფლანგვა და არაჰუმანური საზოგადოების სიმპტომატიკაა. ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, შელახულია მისი ხელშეუხებლობა, ღირსება და თავისუფლება – მისი ის ბუნებითი უფლებები (ბედნიერების, სამართლიანობის, თავისუფლების უფლება), რაც ადამიანს დაბადებისთნავე აქვს.[25] მგონი, საკმარისი მიზეზია, რომ ძალადობა დავგმოთ და ვიბრძოლოთ მის წინააღმდეგ, არა?

2.2.2 ოჯახში ძალადობისაგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები

[25] ძალადობა ოჯახში - ემპირიული კვლევები, http://www.nplg.gov.ge უკანასკნელად იქნა გადამოწმებული- 03.05.2019

საქართველოში ოჯახში ძალადობის შემთხვევები მხოლოდ სპეციალური კანონით („ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“) არ რეგულირდება; ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმებიც, კერძოდ:

სისხლისსამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, რომლებიც შეიცავენ სისხლის სამართლის დანაშაულის ისეთ ნიშნებს, როგორიცაა: სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება; გაუპატიურება; თავისუფლების უკანონო აღკვეთა; ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რომელმაც გამოიწვია ჯანმრთელობის სერიოზული მოშლა ან შრომისუნარიანობის მნიშვნელოვანი დაქვეითება ან დაკარგვა და სხვა ამგვარი;

სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ზიანი. ასევე, არამატერიალური ზიანის შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად:

1. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

2. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვისაც.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევა, კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს

სისხლისსამართლის პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების შესაბამისად.[26]

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს კანონიც, ოჯახური ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის, მსხვერპლთა დაცვისა და მოძალადისათვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, დამცავ და შემაკავებელ ორდერებს იყენებს.

დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც, ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, განისაზღვრება ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები. შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც ასევე განისაზღვრება ოჯახური ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები.

მსხვერპლთა დაცვის დროებით ღონისძიებებში იგულისხმება: მოძალადისაგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის დაცვის ზომები; მოძალადისაგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის გარიდებისა და თავშესაფარში მათი მოთავსების საკითხები; მოძალადისთვის თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვა; მოძალადისთვის ბავშვისაგან განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხები; მოძალადის მიახლოება მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება; სხვა საკითხები, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

თავშესაფარი გულისხმობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებით საცხოვრებელს ან დროებითი განთავსების ადგილს, რომელიც მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებასა და დაცვის ღონისძიებებს ემსახურება. ოჯახში ძალადობის

[26] ოჯახში ძალადობისაგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები, http://www.education.ge./ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.04.2019

მხვერპლთათვის სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია სახელმწიფო თავშესაფარი, სადაც მსხვერპლთა განთავსება ხდება 3 თვემდე ვადით. მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრისთვის არსებობს 3 დამოუკიდებელი გზა:

- მსხვერპლის სატატუსის განმსაზღვრელი მუდმივმოქმედი საბჭო;
- შემაკავებელი ორდერი;
- დამცავი ორდერი.[27]

ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და გავრცელებული ძალადობის ფორმაა. იგი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს და საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს. ოჯახში ძალადობას ახასიათებს ფარული და განგრძობადი ხასიათი და სპეციფიური რადგან ხორციელდება ოჯახის წევრის ან წევრების მიერ სხვა ოჯახის წევრის/ების მიმართ. მცდარია მოსაზრება, თითქოს ძალადობა მხოლოდ ცოლ–ქმარს შორის არსებული კონფლიქტის ნიადაგზე წარმოიშობა. ოჯახში ძალადობად ითვლება ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული: ფიზიკური ძალადობა, ფსიქოლოგიური ძალადობა, ეკონომიკური ძალადობა, სექსულაური ძალადობა, იძულება. ოჯახში ძალადობა ხშირ შემთხვეევაში იწვევს ჯანმრთელობის სერიოზულ გაუარესებას, ფიზიკურ და ემოციურ აშლილობას, რომლიც შეიძლება ფატალური შედეგით დასრულდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს მთავრობისთვის და შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. სამინისტრო სხვა უწყებებთან და საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად მუშაობს ოჯახში ძალადობის დაძლევაზე. ამ მიზნით 2006 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ", შსს წარმომადგენლები მონაწილეობას ღებულობენ ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოს მუშაობაში, რომელიც შეიმუშავებს და კოორდინაციას უწევს ოჯახში ძალადობის სამოქმედო გეგმის განხორციელებას.

[27] ოჯახში ძალადობის პრობლემა და საქართველო, http://www.nplg.gov.ge უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.04.2019

2.2.3 ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია

ოჯახური კონფლიქტების შედეგად ჩადენილი ძალადობითი დანაშაულობის კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს კრიმინოლოგიის თეორიაში. ცხადია, ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულობა წარმოადგენს სოციალურ მოვლენას. მისთვის, როგორც მასობრივი მოვლენისათვის დამახასიათებელია განსაზღვრული კანონზომიერება, დინამიკა და სტრუქტურა, რომელთა ცოდნის გარეშე ძნელია თავიდან აცილების სისტემის ჩამოყალიბება, პრაქტიკული საქმიანობის კრიტერიუმების ზუსტად განსაზღვრა. აღნიშნული მასობრივი მოვლენის სათანადო ცოდნის გარეშე სამართალდამცავ ორგანოებს არ შეუძლიათ დასახონ პროგნოზი და, მაშასადამე, განსაზღვრონ თავიანთი მოქმედების სტრატეგია.

არასრული თეორიული მონაცემები ოჯახური კონფლიქტის შესახებ დიდ სიძნელეებს ქმნის პრაქტიკაში, წარმოშობს პრაქტიკული ღონისძიებების შეუთანხმებლობას და ზოგჯერ მათ წინააღმდეგობას. მთავარია ისიც, რომ ასეთი პრაქტიკის პირობებში ხდება მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის დეზორიენტაცია; არ მიმდინარეობს ოჯახურ კონფლიქტებზე ჩადენილ დანაშაულობისადმი ყურადღების მობილიზაცია. უფრო მეტიც საზოგადოებაში ვერ ხორციელდება არსებით მიზეზებზე ყურადღების გამახვილება, ვინაიდან კომპლექსური მიდგომის გარეშე რთულია მიზეზების დადგენა.

განსაკუთრებული სიძნელეები შეიგრძნობა პროცესუალური საკითხების შემუშავებისას, რადგანაც მიზნობრივი გამოკვლევების არარსებობა ხელს უშლის საკანონმდებლო წესით რეკომენდაციების შემუშავებას. ოჯახური კონფლიქტის შედეგად ჩადენილი დანაშაულის მიზეზების კვლევის არარსებობა უარყოფითად მოქმედებს ინდივიდუალური პრევენციის განვითარებაზე, რადგან აღნიშნული თეორიულ-პრაქტიკული ვაკუუმის შემთხვევაში არ გამოიყოფა მიზეზთა წრე რაზედაც აუცილებელია სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკთა ყურადღების გამახვილება. სუსტადაა წარმოჩენილი საოჯახო კონფლიქტების შედეგად ჩადენილ დანაშაულობათა თავიდან აცილების მუშაობის როლი, არარის დადგენილი სტადია,

როდის უნდა იქნას გამოყენებული კრიმინოლოგიური მასალები, როგორი მატერიალური თუ პროცესუალური საკანონმდებლო ბაზის შემუშავებაა საჭირო ამგვარ დანაშულობათა თავიდან აცილებისათვის და ა.შ.

უდავოა, პრობლემის სრული გამოკვლევა შესაძლებელია მხოლოდ ყველა საკითხის კომპლექსური შესწავლის გზით. პრობლემის სისტემური გადმოცემა ჰქმნის უფრო ღრმა წარმოდენას და პირობებს პრაქტიკული რეკომენდაციების შესამუშავებლად.[28]

ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა გამოიხატება იმაშიც, რომ ოჯახური ძალადობის გამოკვლევით არსებითად გამოიკვეთება ისეთი ფაქტორები, რომლებიც არ ჩანს დანაშაულობის სხვა ფორმების ანალიზისას; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრიმინოლოგიური სიტუაციების დადგენა და კლასიფიკაცია.

ოჯახური კონფლიქტის შედეგად ჩადენილი დანაშაულობის შესწავლით, უპირველესყოვლისა, შესაძლებელი ხდება ცხოვრების იმ ძირითდი სფეროების განსაზღვრა, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული კრიმინოლოგიურ სიტუაციასთან. ამასთან, ასეთი მიდგომა აქტუალური ხდება დამნაშავის სოციალური სტატუსის დადგენა. კეძოდ, რეკომენდაციების მისაღებად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არა მარტო უმუშევრობის ფაქტორი, არამედ დამნაშავეების განაწილება დასაქმების ნიშნით. ამდენად, საკითხის მეცნიერული ანალიზი საშუალებას გვაძლევს სოციალურ კანონზომიერებაზე დაყრდნობით თეორიულად დავასაბუთოთ რეკომენდაცია.ოჯახური კონფლიქტის შედეგად ჩადენილ დანაშულთა ახსნისას კრიმინოლოგია მეცნიერების სხვადასხვა დარგის მონაცემებს იყენებს. ამ მიმართებით ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის ანალიზი სტიმულს აძლევს იურისტების, სოციოლოგების, ფსიქოლოგების მეცნიერულ ძიებას. კრიმინოლოგიური მონაცემები აქტუალურ მნიშვნელობას იძენს თვით კონფლიქტოლოგიისათვის, ფსიქოლოგიისათვის და ა.შ.[29]

---

[28] В.Н Бурлаков , Преподавание кримиеологии в современных условиях. Вестн. СПТ. 1996, с.122

[29] ნ. გაბრიჩიძე, საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი ძალადობითი დანაშაულობა, თავი I, პარაგრაფი III, თბ, 2004, გვ.39

იურიდიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ნორმატიულ აქტებში იმ ნაკლოვანებების გამოვლენა, რომლებიც ხელს უწყობს ოჯახურ კონფლიქტებს. ამიტომ სოციალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით საგამოძიებო-სასამართლო საქმიანობაში სტიმულირდება ნაკლოვანებების ძებნა.

მნიშვნელოვანია ასევე კვლევის ფსიქოლოგიური ასპექტი, რადგან ინდივიდუალურ დონეზე ქცევის პროგნოზირება ძნელდება, თუ არ გაგვაჩნია მონაცემები ბრალდებულის, განსასჯელის პიროვნების შესახებ.

ამრიგად, საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი დალაშაულობის ახსნა აფართოებს მთლიანად ამ პრობლემის ანალიზის კომლექსურ შესაძლებლობებს. არსებითი მნიშვნელობა აქვს თეორიული ანალიზის პროგნოსტიკურ ფუნქციას.

მეცნიერული ანალიზის საბოლოო მიზანია რეკომენდაციების მომზადება. ოჯახური კონფლიქტის შედეგად ჩადენილ დანაშაულობათა მოდელირება - მისი ტენდენციების ღრმა ანალიზის უშუალო შედეგია. ასეთ შემთხვევებში სამართალდამცავი ორგანოები ორიენტირებულნი უნდა იქნენ არა მარტო ე.წ. დანაშულობის ცვლილებაზე, არამედ შესაძლო კრიმინოლოგიურ სიტუაციაზე. ამდენად, პრობლემის მეცნიერულ ანალიზს შეუძლია შემდგომი კრიმინოლოგიური კონფლიქტური სიტუაციების მოდელირება და სამართალდამცავი ორგანოების მომზადება მოსალოდნელი მოვლენების მიმართ, რისი გაკეთებაც უწყებრივ სტატისტიკურ ანგარიშგებას არ ძალუძს. ამიტომ მხოლოდ მეცნიერულ ანალიზზე დაყრდნობითაა შესაძლებელი სახელმწიფოს მიერ თავისი პროგნოსტული ფუნქციის შესრულება. გამოკვლევამ უნდა შეასრულოს ასევე სოციალურ-იდეოლოგიური ფუნქციაც. აქ მხედველობაშია არა რომელიმე ჯგუფის ან ადამიანთა წრის, არამედ მთელი საზოგადოების იდეოლოგია, მოსახლეობის მოთხოვნილებები დანაშაულობასთან, კონფლიქტებთან ბრძოლაში. ამიტომ წინ იწევს საზოგადოებრივ სხვადასხვა სფეროში სოციალური რეფორმების გატარება. კვლევის იდეოლოგიურ ასპექტს პირდაპირი კავშირი აქვს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასთან. კვლევის ამ ფუნქციის შესასრულებლად უდიდესი როლი მიუძღვის ინფორმაციის მასობრივ საშუალებებს რომლებც მოწოდებულნი უნდა

იყვნენ საზოგადოებას მიაწოდონ სწორი ობიექტური ინფორმაცია, მსჯელობის საგნად გახადონ ოჯახური კონფლიქტის შედეგად ჩადენილი დანაშაულის ყველა შემთხვევა, ისე რომ არ დაირღვეს უდანაშაულობის პრეზუმციის პრინციპი. სწორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ ობიექტურად მიცემული ინფორმაციის საფუძველზე. ამ მიმართებით ტავისი სიტყვა უნდა თქვან ასევე სამართალდამცავმა ორგანოებმა. კრიმინოლოგიური რეკომენდაციები ოჯახური კონფლიქტის შედეგად ჩადენილ დანაშაულთა შესახებ ხელს უწყობს ხელისუფლების სხვადასხვა განშტოებაში იმ მოვლენისადმი ერთიანი სურათის ჩამოყალიბებას. საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას უნდა ჰქონდეთ ერთიანი პრევენციული პოზიციები, თუ ისინი არ შემოიფარგლებიან ვიწრო უწყებრივი ინტერესებით, არამედ დაეყრდნობიან მეცნიერულ დასკვნებს.[30]

საოჯახო კონფლიქტების შედეგად ჩადენილი ძალადობითი დანაშაულის ანალიზის პრაქტიკული ღირებულება უპირველეს ყოვლისა გამოიხატება სათანადო რეკომენდაციების შემუშავებისას. სასამართლო პრევენციის დონეზე დასკვნების მნიშვნელობა ვლინდება კერძო განჩინებაში, კანონის დარღვევის ფაქტზე, დანაშაულის ჩადენის მიზეზებსა და ხელშეწყობის პირობებზე, რომლებიც საჭიროებს სათანადო ზომების მიღებას, სსსკ 50 მუხლის შესაბამისად. ამასთანავე ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ამოცანების გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად წარდგინებების ხარისხის ამაღლება, სსსკ 280 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. პრევენციული ღონისძიებების გააქტიურებისათვის მეცნიერების რეკომენდაციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მეცნიერული ანალიზი საშუალებას გვაძლევს შეიქმნას ამ სახის დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკა.[31]

---

[30] ვ. ბექაია, და სხვა. ოჯახის კრიზისი საქართველოში და საოჯახო პოლიტიკის პრიმციპები, თბ., 1998, გვ.39

[31] გაბრიჩიძე.ნ. საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი ძალადობითი დანაშაულობა, თავი I, პარაგრაფი III, თბ., 2004 ,გვ.45

კონფლიქტი ოჯახის წევრთა შორის წამოდგენილია კრიმინოგენური სიტუაციით, რომელიც კონფლიქტური მდგომარეების სახით წინ უსწრებს მკვლელობას, ჯანმრთელობის დაზიანებას და სხვა ძალადობით დანაშაულს კონფლიქტში მონაწილეთა პიროვნული თვისებებით, მათი პოზიციებით და სხვა. ყოველ ცალკეულ კონფლიქტში აღნიშნული ფაქტორები ერთიმეორისაგან გასხვავდება და მათი ემპირიული განუმეორებლობა წარმოშობს დანაშაულის ჩადენის მრავალფეროვან სურათს. მიუხედავად ამისა, სწორი სოციოლოგიური მიდგომის საფუძველზე ძალადობითი დანაშაულის დეტერმინაციაში ვლინდება ოჯახისათვის, როგორც სოციალური ინსტიტუტისათვის, დამახასიათებელი წინააღმდეგობები ანუ საზოგადოებაში „ოჯახის კრიზისის“ ზოგადსოციალური პროცესები. მარტო მათი გათვალისწინებით გასაგები ხდება არასრული ოჯახის, შვილისადმი მშობლის აგრესიულობის, მეუღლისადმი სისასტიკისა და სხვა ფაქტორების კანონზომიერი კავშირი ოჯახის წევრისადმი ძალადობით დანაშაულთან.

ოჯახის წევრების მიმართ ძალადობითი დანაშაულის ფესვები ძრითადად უნდა ვეძიოთ ქართველი ხალხის საბჭოური პერიოდის ცხოვრებაში. სოციალისტური ეკონომიკის განვითარების შედეგად, როგორც სამართლიანად აღნიშნავს მ.ბექაია, ოჯახმა დაკარგა როგორც საწარმოო ერთეულის როლი, ეკონომიკური ერთეულის ძრითადობა. წამოების საშუალებებზე კერძო საკუთრების გაუქმებამ და სახელმწიფოს მიერ ერთხაზოვნად განხორციელებულმა პირდაპირმა საბრძოლო პოლიტიკამ ოჯახის გამდიდრებისა და საკუთრების წინააღმდეგ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ოჯახის ეკონომიურ ფუნქციაში. საბჭოთა ოჯახს, დაეკარგა რა წარმოებლური ერთეულის რაობა, განსაკუთრებით შეუსუსტდა ეკონომიკური ერთეულის რაობაც.[32]

სათნადო ცვლილებები განიცადა ოჯახის თითქმის ყველა ეკონომიკურმა ფუნქციამ. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ინდივიდი, როგორც მომხმარებელი, მთლიანად დამოკიდებული იყო საზოგადოებრივი წაერმოების არასტაბილური პროცესებისაგან. ამაზე მიუთითებს ოჯახის კრიზისის

[32] ვ. ბექაია, და სხვა. ოჯახის კრიზისი საქართველოში და საოჯახო პოლიტიკის პრიმციპები, თბ., 1998, გვ.41

სიმპტომი, რომელმაც თავი იჩინა ჯერ კიდევ 70-იან წლებში, როცა საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში მთლიანი ეროვნული პროდუქტის მატებამ კავშირის საშუალო დონის მაჩვენებელზე 30%-ზე დაბლა დაიწია. ქართულმა სოფელმა იწყო თანდათანობით დაცარიელება, გლეხის შემოსავალი დაეცა 4%-ით და სიღარიბე უფრო და უფრო ემუქრებოდა მის ოჯახს. ერთადერთი გამოსავალი იყო გაქცევა ქალაქში სადაც შემოსავალი ბევრად მაღალი იყო, ვიდრე სოფლად. ქალაქში მიგრირებულთა საკავშირო მაჩვენებლები საგრძნობლად გაიზარდა, ვიდრე სოფლის მეურნეობაში, რითაც რეალურმა ხელფასმა ნომინალურ ხელფასთან შედარებით უფრო დაბლა დაიწია.

ჯაჭვური რეაქციის სახით იშლებოდა ოჯახის სხვა ეკონომიკური ფუნქციებიც: ოჯახის მატერიალურ-მომხმარებლური და სამეურნეო საკითხების ორგანიზება, ოჯახის წევრთა სხვადასხვა ხასიათის მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელი ეკონომიკური საფუძვლების შექმნა, საბინაო საკითხების მოგვარება, შთამომავლობის უზრუნველყოფა მემკვიდრეობით, კაპიტალის დაგროვება და წარმოება. სოფლად ოჯახის იძულებითი მიტოვება, ქალაქის წარმოებებში ან დაწესებულებებში იოლი ფულის ძიება საკუთარი შემოსავლების გასაუმჯობესებლად და სხვა ამგვარი მოვლენები ნათლად ასახავდნენ ოჯახის ეკონომიკური ფუნქციების დეფორმაციას, მისი კრიზისის დასაწყისს.[33]

საზოგადოებაში ფარულად მიმდინარე ნეგატიური პროცესების შედეგად მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შებრუნება ქორწინებიდან არაქორწინებად ცხოვრებისაკენ, ოჯახიანი ადამიანების მიერ აღმზრდელობითი მოვალეობის შესუსტება, თუნდაც იმ მიზეზით, რომ ყურადღება გადატანილია სხვა პარტნიორის ძებნაზე და მასთან ახალი ურთიერთობის დამყარებაზე. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ კონკრეტული ოჯახის არსებობის გარკვეულ ეტაპზე ეგოისტური ბრძოლა ლიდერობისათვის წარმოშობს უარყოფით დამოკიდებულებას ოჯახური მოვალეობისადმი. ხშირია ოჯახისაგან თვით აცილება, მეუღლეთა გაშორების ფაქტები. აღნიშნული ტენდენცია პროგრესულად იზრდება მომდევნო წლებშიც.

[33] ვ. ბექაია, და სხვა. ოჯახის კრიზისი საქართველოში და საოჯახო პოლიტიკის პრიმციპები, თბ., 1998, გვ.216

ამასთანავე შემცირებას იწვევს ბავშვთა შობადობის კოეფიციენტი. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა ვლინდება ასევე ოჯახზე ურბანიზაციის უარყოფითი ზეგავლენის ფორმის სახით. ურბანიზაციის რთული პროცესების გამო მკვეთრად იზრდება მობილურობა, სუსტდება ნათესაური, შიდაოჯახური კავშირები. ისინი მეორეხარისხოვანი ხდება. მკვეთრად მცირდება დროის ის მონაკვეთი, რომელსაც მეუღლეები ბავშვებთან ერთად ატარებენ. ადამიანები საზოგადოებაში მოქმედებენ როგორც ოჯახს მოწყვეტილი ინდივიდები და არა როგორც ოჯახის წევრები, რაც ხელს უშლის ოჯახის კონსოლიდაციასა და ქორწინების განმტკიცებას. ურბანიზაციის ზეგავლენის შედეგად ოჯახი კარგავს თავის უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს. ის ხდება ნაკლებად მტკიცე და, რაც მთავარია, ზოგჯერ თანამედროვე ოჯახის წევრთა მცირერიცხოვნობა, რაოდენობის კლება ასუსტებს ოჯახურ სოლიდარობას.

ცხოვრების დონის დაცემის პირობებში საქართველოში როგორც არასოდეს იწყება მოსახლეობის შემოსავალთ მკვეთრი დიფერენციაცია. როგორც ქართველი ეკონომისტები აღნიშნავენ, ყველაზე მაღალშემოსავლიანი 10%-ის შემოსავალი ყველაზე დაბალშემოსავლიანი 10%-ის შემოსავლებს 50 ჯერ აღემატება.

ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობის მაჩვენებელი აჭარბებს ქორწინებითი შობადობის კოეფიციენტს.[34]

მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს იმ ქალთა მდგომარეობის მონაცემები, რომლებიც ამორალურ ცხოვრებას ეწევიან. ამდენად ნახევარზე მეტი ასეთი ქალი გათხოვილი იყო, მაგრამ იმ მიზეზით, რომ მათი ცხოვრება ვერ აეწყო განქორწინდნენ. ამრიგად, ქორწინების შეწყვეტა და აქედან გამომდინარე სხვა შედეგები წარმოადგენდა ერთ-ერთ ფაქტორს, რომელიც ხელს უწყობდა ქალის დემორალიზაციას და სოციალურ დეგრადაციას. ათეული წლის განმავლობაში ოჯახი, როგორც სოციალური ინსტიტუტი, განიცდის გარდამავალ პერიოდს, რაც განპირობებულია საზოგადოებაში ქალის მდგომარეობის შეცვლასთან, მისი ადგილით საზოგადოებრივი წარმოების პროცესებში, იმ სოციალური როლების

[34] ვ. ბექაია, და სხვა. ოჯახის კრიზისი საქართველოში და საოჯახო პოლიტიკის პრიმციპები, თბ., 1998, გვ.218

შინაარსის ცვლილებებით, რომლებსაც ოჯახში ასრულებენ ქალები, ოჯახისადმი ქალის დამოკიდებულებების შემცირებით, მისი მორალის გარდაქმნით და სხვა.

დღევანდელი ოჯახი არ აძლევს საზოგადოების წევრებს იმას, რასაც მათგან ელიან: მამაკაცები - საიმედო ფსიქოლოგიურ საყრდენს, ხოლო ქალები - მყარ მატერიალურ ურთიერთობას; ხანში შესული მშობლები ვერ იღებენ სათანადო სითბოს თავიანთი ქალიშვილებისაგან, რომლებიც დაკავებულნი არიან საზოგადოებრივი საქმიანობით, შვილები მოკლებულნი არიან დედის კონტროლს. ამრიგად, ქალის სოციალური როლი მკვეთრად იცვლება და იძენს მთელ რიგ უარყოფით ნიშნებს.[35]

რაც შეეხება მამაკაცს, მისი როლი ოჯახში ფაქტობრივად სუსტდება. უმუშევრობა, უიმედობა, მეუღლესთან და ბავშვებთან გულგრილი ურთიერთობა მას ოჯახის ინტერესების მიღმა ტოვებს.

ოჯახის ეკონომიკური საფუძვლების მერყეობამ და განქორწინების ზრდამ არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ოჯახის სოციალურ ფუნქციებზეც. განსაკუთრებით დაზარალდა შთამომავლობის მოვლა-აღზრდის ფუნქცია. ამ მიმართებით, როგორც აღნიშნავენ ქართველი კრიმინოლოგები, თავს იჩენს ისეთი კანონზომიერება, როგორიცაა: ა) მოუწყობელი, ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახის პირდაპირი, უშუალო უარყოფითი ზეგავლენა არასრულწლოვნზე, ბ) ოჯახის ანტიპედაგოგიური პოზიცია, ოჯახის წევრთა შორის აღმზრდელობითი ზეგავლენის ჩვევების არარსებობა, გ) ობიექტური სიძნელეები, რომლებიც ხელს უშლიან სრულყოფილ აღზრდას.[36] ზოგჯერ გაორებულ ხასიათს ატარებს შთამომავლობის სოციალიზაცია. სოფლად გავრცელებული ხელით შრომა უარყოფით დამოკიდებულებას წარმოშობს იქ არსებული მიკრო ჯგუფების მიმართ. ახალგაზრდა ცდილობს მიატოვოს ოჯახი, მეგობართა წრე და გადაიხვეწოს

[35] ი.გოძიშვილი, დამნაშავის პიროვნება-კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა, აშშ-საქართველო, 2003, გვ. 215

[36] ი. გოძიშვილი, კრიმინოლოგია, თბ., 1999, გვ. 191

ქალაქში, სადაც ის აწყდება კულტურათა კონფლიქტს, ღირებულებათა გაურკვევლობას და სხვა.[37]

ოჯახის წევრთა უფლებრივი ნორმების განხორციელებაც, საგრძნობლად იცვლება. მარტოხელა დედის დასაქმება, მამის უმუშევრობა, განქორწინება, ორივე მშობლის მუშაობა და სხვა სოცილური ფაქტორები ხარისხობრივად ახალ ცვალებადობას იწვევს ლიდერის სტატუსში. მამის, როგორც ლიდერის გვერდით, ძლიერდება მომუშავე დედის ლიდერობის როლი. იცვლება ოჯახის წევრთა შეფასება და დამოკიდებულება მათი უფლებებისადმი. მშობლებისა და შვილების ურთიერთობათა სტრუქტურაზე ზეგავლენას იწყებს ოჯახის გარეთ არსებული გარეგანი ფაქტორები, რაც ხდება ოჯახის წევრებისადმი გაუცხოებული დამოკიდებულების საფუძველი.

ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუარესება პირდაპირ კავშირშია პირველადი სოციალური კონტროლის შესუსტებასთან. ეს კავშირი გაშუალედებულია ოჯახის მცირეშვილიანობით, ნუკლეინური ოჯახების ნაკლებობით,[38] რაც ასუსტებს ოჯახში ფსიქოლოგიურ კლიმატს და შესაბამისად სოციალურ კონტროლს. ქორწინების გარეშე ურთიერთობების დამყარება, პროსტიტუცია, ნარკომანია უფრო მეტად იკიდებს ფეხს ქვეყნის ცხოვრებაში.

საქართველოში ბოლო ათწლეულში ოჯახის სოციალური სტატუსის აღწარმოება სულ უფრო ხშრად აწყდება სერიოზულ სიძნელეებს. ამასთან ერთად რთულდება ხანდაზმულთა ყოფა-ცხოვრების უზრუნველყოფა. 45-55 წლის შვილები ტოვებენ მოხუც მშობლებს, რითც წყდება ნათესაური კავშირი შვილიშვილთა, ბაბუასა და ბებიას შორის. ლტოლვა ავტონომიზაციისაკენ არღვევს ოჯახის სოციალური სტატუსის ფუნქციას.[39] ობიექტურად ამ პროცესს ხელს უწყობს საცხოვრებელი პირობების შეცვლაც, ბინათმშენებლობის ტემპების შემცირება და სხვა საყოფაცხოვრებო ფაქტორები.

---

[37] ი. გოძიაშვილი , დამნაშავის პიროვნება-კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა, აშშ-საქართველო, 2003, გვ. 220-230

[38] ვ. ბექაია, და სხვ. ოჯახის კრიზისი საქართველოში და საოჯახო პოლიტიკის პრიმციპები, თბ., 1998, გვ.189

[39] ვ. ბექაია, და სხვ. ოჯახის კრიზისი საქართველოში და საოჯახო პოლიტიკის პრიმციპები, თბ., 1998, გვ.200

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში პოსტსაბჭოური ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების ლიკვიდაციამ თითქმის ნულამდე დაიყვანა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი. წარმოების შეჩერებამ მწვავე ფინანსური კრიზისი გამოიწვია. მკვეთრად დაეცა საქართველოს მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის დონე, მძაფრად იჩენს თავს უმუშევრობის პრობლემები; ამას ემატება სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაც. კიდევ უფრო ღრმვდება სოციალური შემწეობით უზრუნველყოფილ პენსიონერთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და უმუშევართა სოციალური მდგომარეობა.

ბოლო ათწლეულში განვითარებულმა მოვლენებმა ქვეყანაში აშკარა გახადა მზარდი სოციალური დიფერენციაცია, რამაც გამოვლენა ჰპოვა საზოგადოების ერთი ნაწილის სიმდიდრეში, ხოლო მეორე ნაწილის სიღარიბესა და მასობრივ უმუშევრობაში.

სოციალური აპათია და სრული გამოუვალობის შეგრძნება, გაბოროტება და გამძაფრებული აგრესია ნელ-ნელა მკვიდრდება ადამიანთა ურთიერთობებში. საქართველოში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა სიტუაციმ, გაზრდილმა სოციალურმა და პოლიტიკურმა დაძაბულობამ, საზოგადოების მზარდმა მატერიალურმა და სოციალურმა პოლარიზაციამ გააღრმავა კრიზისული მდომარეობა, რომელშიც კიდევ უფრო მწვავედ მოაქცია ოჯახი. ქვეყანაშო არსებულ ოჯახთა უმრავლესობას მკვეთრად გაუუფასურდა სულიერი ფუნქციის რეალიზაცია.

ქვეყნის გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობათა წინაშე ოჯახი, როგორც სოცილური ინსტიტუტი, ფაქტობრივად მოუმზადებელი აღმოჩნდა. საბჭოურ პერიოდში დაწყებული კრიზისი თანამედროვე პირობებში უფრო გამძაფრდა, რამაც სულიერი სამყარო გააუარესა.[40] ოჯახის წევრთა ემოციური ურთიერთობების განხორციელების ხერხად სულ ხშირად მკვიდრდება გაუცხოებული დამოკიდებულება ოჯახის წევრის მიმართ. დავა და ჩხუბი უმნიშვნელო საბაბის გამო, ძალადობა, სისასტიკე ოჯახში ავლენს მის წევრთა

[40] ნ. იმედაძე, აგრესიის გენეზისისათვის - არასრუწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საკითხები. თბ., ,,მეცნიერება“, 1983, გვ. 73

კონფლიქტურ, ემოციურ ურთიერთობებს. ადამიანთა დამოკიდებულებაში სულ უფრო ხშრად იჩენს თვს ისეთი ტიპის მოტივაცია, როგორიცაა: საყოფაცხოვრებო (მათ შორის საოჯახო - საყოფაცხოვრებო) კონფლიქტი, აგრესიულობა, როგორც თვთდამკვიდრების ნორმა; აგრესიულობა და სისასტიკე, როგორც თვითმიზანი და ა.შ. ამიტომ თანამედროვე ეტაპზე, მატერიალურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებთან ერთად, განსაკუთრებით საგრძნობი გახდა კიდევ ერთი სერიოზული, შეიძლება ითქვას, ფრიად საშიში ტენდენცია - სულიერი ფასეულობებისა და ზნეობრივი ორიენტირების გახრწნა, რაც გამოიხატება მოქალაქეთა სწრაფვაში ყოველგვარი დაშვებული თუ დაუშვებელი ხერხებით მკვეთრად გაიუმჯობესონ და შეცვალონ თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი.

ზნეობრივი ნორმების გადაცემა-განვითარება ემყარება კონკრეტული ინდივიდის იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც ხშირად ეწინააღმდეგება საზოგადოებაში არსებულ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს და აგებულია სამართლებრივ ნიჰილიზმზე. ზნეობრივი ნორმების გადაცემა-განვითარება წარმოადგენს ქურდული ტრადიციების და, ეგრეთ წოდებული, ვაჟკაცობის, ქრთამის მიცემის და კაცური გამჭრიახობის, ქალისადმი დამოკიდებულების, როგორც შემთხვევითი სექსუალური პარტნიორისადმი, შვილის ამორალური სექსუალური აღზრდისა და სხვა საწინააღმდეგო ღირებულებათა სიმბიოზს. ოჯახის წევრის ცნობიერებაში ზოგჯერ აღრეულია და ფეხს იკიდებს გულგრილი, გაუცხოებული ადამიანის მოქმედების ნორმა.

ურთიერთობის კულტურა და ესთეტიკა ვითარდება უიმედობის, მრავალი ქვეყნის საწინააღმდეგო კულტურათა მიჯნაზე, ფაქტობრივად კი ქართული ოჯახისათის დამახასიათებელი კულტურის განდევნის გზით; შვილისადმი, შვილიშვილისადმი, მეუღლისადმი ან მშობლებისადმი დამოკიდებულება არ აიგება როგორც ოჯახის კულტურის შემადგენელი ელემენტი.

ოჯახში, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიურ ჯგუფში, განსაკუთრებულად აისახება ადამიანთა სულიერი მოთხოვნილება და მისი პიროვნების განვითარება.

არსებულ ისტორიულ პერიოდში პიროვნების პერსონიზაცია და ფორმირება ხორციელდება ინდივიდის საზოგადოებასთან დაუცველობის პირობებში. აღნიშნული ფენომენი საფუძვლად უდევს ოჯახის წევრთა მოთხოვნილებების დაპირისპირებას, მათი ინტერესების შეუთავსებლობას, ურთიერთმხარდაჭერისაგან უარის თქმას და ა. შ.

უკანასკნელ წლებში, როდესაც ჩვენი საზოგადოება აღმოჩნდა ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის კრიზისის პირობებში, მნიშვნელოვნად გამწვავდა მრავალი წინააღმდეგობა. ამან გამოიწვია სოციალური დაძაბულობა, გაუფასურდა ბევრი ტრადიციული მორალური ნორმა, მკვეთრად დაეცა კანონმორჩილების დონე, მთელ რიგ რეგიონებში მოხდა საზოგადოებრივი წესრიგის დესტაბილიზაცია და თითქმის ყველა ფენის შემოსავალი რეალურად შემცირდა; აბსოლუტურად დაეცა ცხოვრების დონის მაჩვენებელი, სოციალური დიფერენციაციის პირობებში, ერთდროულად იმატა უმუშევრობამ, ინფლაციამ, საქონლის დეფიციტმა, ბაზრის მოშლამ, გამძაფრდა ეროვნებათშორისი ურთიერთობა და სხვა, რამაც განავითარა საბჭოურ პერიოდში დაწყებული ოჯახის კრიზისი.

ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალური დეტერმინაციის პარალელურად ოჯახის კრიზისზე მოქმედებს ისეთი ცალკეული ნაკლოვანებები, როგორიცაა: იარაღის გავრცელებაზე კონტროლის არარსებობა; ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არაეფექტური პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორცციელება; საყოფაცხოვრებო კონფლიქტის დსარეგულირებლად ადრინდელი პროფილაქტიკური მუშაობის შესუსტება; მასობრივი ხასიათის ინფორმაციებში ძალადობის კულტის პროპაგანდა, პორნოგრაფიის გავრცელება; მოზარდთა ჩაბმა დანაშაულში; მოზარდთა მიერ ოჯახების მიტოვება და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, ძალადობითი დანაშაული ოჯახის წევრის მიმართ ვითარდება ოჯახის კრიზისზე ზოგადსოციალური პროცესების უშუალო ზეგავლენით. კონკრეტული დანაშაულის მექანიზმი თავისებურად ავლენს ამ პროცესებს იმ

კრიმინოგენური ფორმის სახით, რომლის გათვალისწინების და კვლევის გარეშე ვერ დავადგენთ დანაშაულის კონკრეტულ ფაქტორებს. ამრიგად, გამოკვლევის უპირველესი მიზანია ძალადობითი დანაშაულის ჩამდენი პიროვნების, მისი ჩმოყალიბების და ოჯახში კრიმინოგენური სიტუაციის პრობლემის შესწავლა.[41]

2012 წლის მაისში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც მოხდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია. სსსკ–ის მუხლი 11[1] განსაზღვრავს ოჯახის წევრთა წრეს და მიუთითებს კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩამონათვალზე, რომელთა ჩადენის შემთხვევაში კეთდება შესაბამისი მითითება აღნიშნულ მუხლზე. ხოლო მუხლი 126[1] განმარტავს ოჯახში ძალადობის კრიმინალურ ხასიათს და აწესებს პასუხისმგებლობას ჩადენილი ქმედებისათვის. რეაგირება ოჯახში ძალადობაზე შსს სამინისტროს მასშტაბით საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და საუბნო სამსახური აქტიურად არის ჩართული ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ოჯახში ძალადობის შესახებ ფაქტის ცნობის საფუძველზე შემთხვევის ადგილზე გადის შესაბამისი ეკიპაჟი. იმ ადგილებში, სადაც არ ვრცელდება საპატრულო პოლიციის სამოქმედო კვადრატი, გამოძახებაზე გადის უბნის ინსპექტორი. ძალადობის ფაქტის დაფიქსირებისას, პოლიციელი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვის და ძალადობის განმეორების თავიდან აცილების მიზნით გამოსცეს შემაკავებელი ორდერი.

შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ადმინიტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლით 175[1] და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით 381[1].[42]

ზოგიერთი სტატისტიკური ინფორმაცია: ოჯახური ძალადობის ,,კრიმინოლოგიური აზროვნება, პირველ რიგში, ემყარება სწორედ თეორიული, პრაქტიკული და ეროვნული კანონმდებლობის მონაცემების ცოდნის სისტემას, რომელიც შეიძლება

[41] ნ. გაბრიჩიძე, საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი ძალადობითი დანაშაულობა, თავი III, პარაგრაფი I, გვ.77

[42] ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია , https://police.ge/ge/projects/odjakhshi-dzaladoba, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.04.2019

შემუშავდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განზოგადებული იქნება ამ სახის დანაშაულთა ქვეყნის სტატისტიკური მონაცემები.

ვინაიდან ოჯახური ძალადობა ისეთ პიროვნებებს შორის ხდება, რომლებიც ემოციურად მჭიდრო კავშირში და სოციალურ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან, უმეტეს შემთხვევაში ოჯახი მალავს ამ ფაქტს. ამიტომ მეტად ძნელია ოჯახური ძალადობის შესახებ სრულყოფილი სტატისტიკის მოპოვება-მოყვანა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2015 წლის პირველ სამ კვარტალში, საქართველოს მასშტაბით ოჯახში ძალადობის 2 114 შემთხვევა გამოვლინდა. მათგან 1 845 შემთხვევაში მსხვერპლი ქალი, 269-ში კი კაცი იყო. წინა წელთან შედარებით ოჯახში ძალადობის ჯამური მაჩვენებელი 1 285 ერთეულით, აქედან ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები 1 103 ერთეულით, კაცების მიმართ კი – 182 ერთეულით გაიზარდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2015 წლის პირველ სამ კვარტალში ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებელი – 706 ფაქტი თბილისში დაფიქსირდა. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები მხოლოდ იმ შემთხვევებს მოიცავს, როდესაც ძალადობის ფაქტს სამართლებრივი რეაგირება მოჰყვა. ძალადობის სხვა შემთხვევები კი საბოლოო სტატისტიკაში ვერ ხვდება.[43]

იუნისეფის ეგიდით წითელი ჯვრის მიერ ბავშვის მიმართ ძალადობისა და უგულებელყოფის კვლევამ გამოავლინა, რომ გამოკითხული ბავშვების (სულ 4 385 ბავშვი) 60,8%-ს გამოუცდია არაფიზიკური სახის, ვერბალური ძალადობა, ხოლო 39.2% გამოცდილი აქვს ფიზიკური ძალადობაც. ძალადობას ვხვდებით არა მარტო ოჯახებში, არამედ სკოლებსა თუ ქუჩაშიც, რასაც ხშირად სიკვდილიანობა მოყვება.

[43] სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.04.2019

2.3 ოჯახური დანაშაულის დახასიათება

ოჯახში ძალადობას ახასიათებს მთელი რიგი სპეციფიკური ნიშნები, რაც გამოარჩევს სხვა იმგვარი დანაშაულებრივი ქმედებებისგან, როგორიცაა ზოგადად ძალადობა, ცემა, დამცირება, შეურაცხყოფა და ა.შ.

უნდა გავმიჯნოთ ოჯახური დანაშაულის შემდეგ ნიშნები:

- სპეციალური ამსრულებლის არსებობა;

- მაღალი ლატენტური ბუნება;
- მსხვერპლსა და მოძალადეს შორის არსებული განსაკუთრებული ურთიერთობა;
- ნეგატიური გავლენა არა მხოლოდ უშუალო დაზარალებულზე, არამედ სხვა პირებზეც;
- ძალთა ასიმეტრია.

მეცნიერული კვლევების მიხედვით, ოჯახში ძალადობა ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალაუფლებისა და კონტროლის დამყარების მიზნით ხდება. თუმცა საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგად, უმრავლესობა ოჯახში ძალადობის ძირითად მიზეზად უმუშევრობას, ალკოჰოლიზმს, ნარკომანიასა და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს ასახელებს. სინამდვილეში კი ოჯახში ძალადობა ერთნაირად არსებობს როგორც ჩამორჩენილ, ასევე ეკონომიურად განვითარებულ ქვეყნებში. ოჯახში ძალადობის, ისევე, როგორც ზოგადად ძალადობის შემთხვევაში, არსებობს სამი კომპონენტი: 1. მსხვერპლი; 2. მოძალადე; 3. ქმედება (ძალადობა).[44]

საქართველოს კანონმდებლობით მსხვერპლი არის ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობა ან იძულება.

მოძალადე არის ოჯახის წევრი, რომელიც ოჯახის სხვა წევრის მიმართ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას ახორციელებს.

რაც შეეხება ოჯახის წევრის ცნებას, ოჯახის წევრად ითვლება,მეუღლე, დედა, მამა, პაპა, ბებია, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), მეურვე, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.“

ოჯახური ძალადობა სხვაგვარი ძალადობისგან განსხვავებით გამოირჩევა მაღალი ლატენტური ბუნებით.ოჯახში ძალადობა არ არის ერთჯერადი ქმედება

---

[44] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11[1]-ე მუხლის შენიშვნა, 29/05/2019 წლის მდგომარეობით.

– ეს არის პროცესი, რომელიც შედგება ძალადობის განმეორებადი ციკლებისაგან და დამყარებულია მოძალადის და მსხვერპლის ურთიერთობაზე;[45]

„ოჯახში ძალადობის თემა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მრავალ ქვეყანაში ტაბუირებული იყო, რადგან მსგავსი საკითხების სააშკარაოზე გამოტანა ადამიანების პირად ცხოვრებაში ჩარევად განიხილებოდა. ოჯახში ძალადობის ფაქტები უმეტეს შემთხვევაში მისი სიმწვავის მიუხედავად ჩრდილშია მოქცეული. ძალადობის მსხვერპლთ არ სურთ განცდილის შესახებ განცხადება, რცხვენიათ საკუთარი თავის გამო, ან არ სურთ ოჯახის „ღალატი“, ეშინიათ მოძალადის მხრიდან შურისძიების და აგრესიისა, არ სჯერათ სამართლადამცავი ორგანოების ეფექტურობის. არცთუ იშვიათია, როდესაც ნათესავები მსხვერპლს ადანაშაულებენ მომხდარში. თუ აღნიშნულს ემატება სამართალდამცავი ორგანოების არაეფექტური მოქმედება, ფაქტიურად მსხვერპლი რჩება მარტო, პირისპირ საკუთარ მწუხარებასა და ტკივილთან.“ [46]

ოჯახში ძალადობის ლატენტური ხასიათი იწვევს როგორც უკვე ჩადენილი დანაშაულის გაუხსნელობას და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების გარეშე ტოვებს ჩადენილ ქმედებას, ასევე ქმნის დაუსჯელობის სინდრომს. „ლატენტურ დანაშაულთა ბუნების განხილვისას უნდა აღინიშნოს მათთვის ნიშანდობლივი აქტიური თვითმასტიმულირებელი ხასიათი, რაც არსებითად ზრდის ამდაგვარი ქმედებების საზოგადოებრივ საშიშროებას; პიროვნებას ხშირად

„უბიძგებს“ გადაწყეტილებისაკენ, ჩაიდინოს დანაშაული დაუსჯელად დარჩენის ვარაუდით. სამართალდარღვევა, რომელიც მორალური და სამართლებრივი რეაგირების გარეშე რჩება, ასევე განაპირობებს მერყევი ხასიათის პირთა გადაწყვეტილებას, ჩაიდინონ სამართალდარღვევა.“

აღნიშნულიდან გამომდინარე:

---

[45] მ.ტურავა, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი. პირველი წიგნი. დანაშაული და მოძღვრება, თბ., 2011, გვ.162.

[46] დამხმარე სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენერებისათვის/ სასწავლო კურსისათვის თემაზე: „ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“ გვ. 6-7

- ჩადენილი დანაშაული რჩება სამართლებრივი რეაგირების მიღმა;
- მახინჯდება სისხლის სამართლის სახელმწიფო სტატისტიკა, რის შემდეგაც იქმნება სერიოზული სიძნელეები დანაშაულობის დინამიკისა და სტრუქტურის მეცნიერული ანალიზის ჩასატარებლად და ბუნებრივია, მასთან ბრძოლის ოპტიმალური პრაქტიკული მეთოდების შესამუშავებლად ჩნდება დაუსჯელობის რწმენა, რაც ახალი სამართალდარღვევებისკენ უბიძგებს დამნაშავეებს, რომლებიც არ აყოვნებენ და უმალვე სჩადიან დანაშაულს. მოკლე დროში მისი გამოუმჟღავნებლობით მათ შესაძლებლობა ეძლევათ ჩაიდინონ მეტი დანაშაული, რაც, საბოლოო ჯამში, ზრდის დანაშაულის საერთო რაოდენობას;

ამასთან ოჯახური ძალადობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ისიც,

რომ ხშირ შემთხვევაში მსხვერპლს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს

მოძალადის მიმართ, ვინაიდან მოძალადე წარმოადგენს მისი ოჯახის წევრს. ძალადობის მსხვერპლი ქალი დამცირების, ფიზიკური შეურაცხყოფის და სხვა ქმედებების მიუხედავად განაგრძნობს მეუღლის სიყვარულს.

ხშირად ძალადობის მსხვერპლს შეიძლება წარმოადგენდეს მშობელი, რომლის მიმართაც შვილს განსაკუთრებული სიყვარული და დამოკიდებულება აქვს ძალადობის მიუხედავად. ხშირად მსხვერპლი, ასე ვთქვათ, მიუტევებს მოძალადეს მის მიერ განხორციელებულ დასჯად ქმედებებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ მსხვერპლის პოზიციის მიუხედავად, დანაშაული დანაშაულად რჩება.ოჯახური ძალადობის შემდეგი სპეციფიკური ნიშანი მდგომარეობს იმაში, რომ ოჯახური ძალადობა აისახება არა მხოლოდ იმ პიროვნებაზე, რომელზეც ხორციელდება უშუალო ძალადობა, არამედ „კონფლიქტი ნეგატიურად მოქმედებს ოჯახის სხვა წევრებზეც, განსაკუთრებით, ოჯახის არასრულწლოვან პირებზე, იწვევს მათი ფსიქიკისა და ცნობიერების დამახინჯებას, რაც მთლიანად საზოგადოებაში არაჯანსაღი სიტუაციის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.“[47]

ოჯახურმა ძალადობამ შესაძლებელია ისეთი ფორმით ჰპოვოს ასახვა მოზარდის პიროვნების განვითარებაზე, რომ მოზარდი გახდეს დამნაშავე.

[47] მ.ტურავა, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი. პირველი წიგნი. დანაშაული და მოძღვრება, თბ., 2011, გვ.162.

ოჯახურმა ძალადობამ შეიძლება მოზარდი დამნაშავედ ჩამოაყალიბოს შემდეგი გარემოების გამო-უფროსების მაგალითიდან გამომდინარე მოზარდებს კონფლიქტის მოგვარების ერთადერთ საშუალებად ძალადობა მიაჩნიათ. მათ ოჯახში ნასწავლი კონფლიქტის მოგვარების ეს მეთოდი (დარტყმა, ცემა, დაყვირება) გამოაქვთ ქუჩაში და ცდილობენ, ასევე ძალადობის გამოყენებით კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებას.

ამასთან, მოძალადე ოჯახში გაზრდის ნეგატიური მხარე იმაშიც გამოიხატება, რომ ხშირად ოჯახის ქალიშვილს ჰგონია, რომ მამის მიერ დედაზე განხორციელებული ძალადობა ნორმალური მოვლენაა და საკუთარი ქმრის მხრიდან მასზე განხორციელებულ ძალადობას აღარ აღიქვამს დანაშაულად.[48]

სსკ-ის 126^1-ე მუხლი ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის დამამძიმებელ გარემოებებს

კერძოდ, ესენია:

ა) პირველი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა, ძალადობა წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ. აღნიშნული გარემოება ამძიმებს ბრალს, ვინაიდან ამ შემთხვევაში საფრთხე ექმნება, არა მხოლოდ დედას, არამედ მომავალ პოტენციურ ადამიანსაც. ორსული ქალის მიმართ განხორციელებული ძალადობა უფრო მეტად გასაკიცხი ქმედებაა, ამდენად, ის წარმოადგენს ქმედების მაკვალიფიცირებელ გარემოებას. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა ორსულობის ვადასა და ნაყოფის სიცოცხლისუნარიანობას.

ამასთან, ოჯახში ძალადობის მოცემული მაკვალიფიცირებელი გარემოება გვექნება შემდეგი პირობების კუმულაციურად არსებობის შემთხვევაში:

1. სახეზეა 126^1-ე მუხლით განსაზღვრული დანაშაულის შემადგენლობა;
2. მსხვერპლი ობიექტურად მართლაც ორსულად არის;
3. დამნაშავემ იცის, რომ მისი ოჯახის წევრი, ვისზეც ახორციელებს ძალადობას არის ორსულად.

ზემოთმოყვანილი პირობებიდან ერთ-ერთის არარსებობის შემთხვევაშიც პირს

[48] მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია. მეორე გამოცემა, თბ., 2011, გვ.200-201

არ შეერაცხება მაკვალიფიცირებელი გარემოება. მაგალითად, თუ ცოლი არ არის ორსულად და ქმარი, რომელსაც ჰგონია ცოლი ორსულად (სხვადასხვა გარემოების გამო, მაგალითად, ცოლმა მოატყუა, ან თავად ცოლიც შეცდომაშია შეყვანილი და თავი ორსულად გონია.) ახორციელებს მასზე ისეთ ძალადობას, რომ ის განიცდის ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას, მაგრამ არ ადგება ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებაც კი. ასეთ შემთხვევაში ქმარს არ შეერაცხება მაკვალიფიცირებელი გარემოება, ვინაიდან ქმრის სუბიექტური დამოკიდებულების მიუხედავად (რომ ის ძალადობს თავის ორსულ ცოლზე), ობიექტურად სახეზე არ არის ორსულ ქალზე ძალადობა.

ამასთან მარტო ობიექტური გარემოება_ორსულ ქალზე ოჯახში ძალადობაც, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ პირს შევუფარდოთ მაკვალიფიცირებელი გარემოება, ვინაიდან ნორმაში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ დამნაშავეს წინასწარ უნდა ჰქონდეს შეცნობილი, რომ ის ახორციელებს ოჯახში ძალადობას ორსული ქალის მიმართ.

ბ) არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ აღნიშნული მაკვალიფიცირებელი გარემოება სახეზე გვექნება, როდესაც არასრულწლოვანი წარმოადგენს მსხვერპლის ოჯახის წევრს. განხორციელებული ძალადობა მაკვალიფიცირებელი გარემოებაა, როგორც ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, ასევე სსკ-ის 126-ე მუხლში მოცემული ძალადობის ზოგადი შემადგენლობისთვისაც. შესაბამისად, კანონმდებელი თვლის, რომ საკუთარი ოჯახის წევრზე ძალადობა ბავშისთვის მძიმე საყურებელია _ შეიძლება განიცადოს ფსიქოლოგიური ტრამვა, ამდენად, ასეთ შემთხვევაში საფრთხე ექმნება არასრულწლოვნის ნორმალურ განვითარებას, მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.

გ) ნორმის დამამძიმებელი გარემოებაა, ასევე, ოჯახში ძალადობის განხორციელება ორი ან მეტი პირის მიმართ. ამ შემთხვევაში თითოეული პირი, ვისზეც ხორციელდება ძალადობა, უნდა იყოს დამნაშავის ოჯახის წევრი. ამასთან, ოჯახის რამდენიმე წევრის მიმართ ოჯახში ძალადობა უნდა განხორციელდეს ერთდროულად ან მცირე დროის შუალედით, რათა ჩაითვალოს ერთიან

დანაშაულად. მოძალადე უნდა მოქმედებდეს ერთიანი განზრახვით. სხვა შემთხვევაში სახეზე იქნება არა ერთი დანაშაული, არამედ დანაშაულთა ერთობლიობა.

დ) შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა ოჯახში ძალადობა პირთა ჯგუფის მიერ. ჯგუფურ დანაშაულთან გვაქვს საქმე, როდესაც ორი ან მეტი ამსრულებელი ერთობლივად სრულად ან ნაწილობრივ ახორციელებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას. ორი ან მეტი ამსრულებლის ერთ დანაშაულში მონაწილეობა, ანუ ჯგუფური დანაშაული უფრო საშიშია, ვინაიდან რამდენიმე დამნაშავის კოლექტიურ მოქმედებას ნულამდე დაყავს დაზარალებულის მიერ აუცილებელი მოგერიების უფლება, პარალიზებას უკეთებს ან ამცირებს მისი ნების გამოვლენას, წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობას და უფრო იოლს ხდის დამნაშავეთა მიერ ქმედების განხორციელებას.[49]

ე) ოჯახში ძალადობის შემდეგი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა ოჯახში ძალადობა არაერთგზის. სსკ-ის 15-ე მუხლის შესაბამისად: „არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლევი პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია სსკ-ის შესაბამის მუხლში.

შესაბამისად, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მოცემული მაკვალიფიცირებელი გარემოება პირს შეერაცხება თუ:

1. სახეზეა 126^1-ე მუხლით განსაზღვრული დანაშაულის შემადგენლობა;
2. პირი წინათ ნასამართლევია სსკ-ის 126^1-ე მუხლით განსაზღვრული
3. ქმედებისთვის;
4. ნასამართლეობა არ აქვს მოხსნილი და არც გაქარწყლებული.

[49] მ. ლეკვეიშვილი, და სხვ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 43-44.

2.3.1 ოჯახური დანაშაულის ამსრულებელი,შუალობითი ამსრულებელი და თანამონაწილე

სსკ-ის 22-ე მუხლის თანახმად „ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში, აგრეთვე ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.“

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, თუ კონკრეტული დანაშაულისთვის არ არის უშუალოდ განსაზღვრული პირი, რომელმაც უნდა ჩაიდინოს დანაშაული, იგულისხმება, რომ ნებისმიერი ბრალუნარიანი პირის მიერ ქმედების განხორციელების შემთხვევაში ის ჩაითვლება ამსრულებლად.

სსკ-ის 126^1 მუხლში მითითებულია, რომ ოჯახში ძალადობად ჩაითვლება ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ განხორციელებული ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, დამცირება, შანტაჟი. აქედან გამომდინარე, ოჯახში ძალადობის ჩადენა შეუძლია მხოლოდ მსხვერპლის ოჯახის წევრს. შესაბამისად, სსკ-ის 126^1-ე მუხლის ამსრულებლად განსაზღვრულია სპეციალური სუბიექტი - ოჯახის წევრი.

ვინ შეიძლება ჩაითვალოს ოჯახის წევრად, არ არის განმარტების საგანი, ვინაიდან სსკ-ის 126^1-ე მუხლის შენიშვნაში მოცემულია ოჯახის წევრის განმარტება. კერძოდ, 126^1-ე მუხლისთვის ოჯახის წევრად ითვლება: „მეუღლე, დედა, მამა, პაპა, ბებია, შვილი(გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), მეურვე, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.“

სპეციალური ამსრულებლობა არსებობს ორ შემთხვევაში:

1. საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტებში
2. სპეციალური დანაშაულებში.

საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტებია, მაგალითად, სსკ-ის 388-ე მუხლით

განსაზღვრული ქმედება-სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება, დეზერტირობა (389-ე მუხლი) დაკავების ადგილიდან, პენიტენციური დაწესებულებიდან,თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებიდან ან მოთავსების სხვა ადგილიდან, გაყვანისას/გადაყვანისას ან ექსტრადიციისას ბრალდებულის, მსჯავრდებულის გაქცევა (379 მუხლი). ზემოთხსენებული დანაშაულების ჩადენა შაუძლებელია სხვა პირის მიერ. საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტი გულისხმობს, რომ დამნაშავემ საკუთარი თავი ერთგვარ მდგომარეობაში უნდა მოაქციოს, რაც იკრძალება კანონით (მსჯავრდებული თვითონ უნდა გაიქცეს, დეზერტირი საკუთარი ფეხით გარბის ა.შ.) [50]

რაც შეეხება სპეციალურ დანაშაულებს, სპეციალურია ამსრულებლობა, რომლის ამსრულებლობა სპეციალურ მოვალეობას მოითხოვს, მაგალითად, თანამდებობრივი დანაშაულის ამსრულებელს თანამდებობრივი მოვალეობა მოეთხოვება, სამხედრო დანაშაულის ამსრულებელი სამხედრო მოვალეობით უნდა იყოს აღჭურვილი და სხვ. სწორედ სპეციალურ დანაშაულებს უნდა მივაკუთვნოთ სსკ-ის 126^1-ე მუხლი და ოჯახის წევრები განხილულ უნდა იქნენ სპეციალურ ამსრულებლებად. რაც იმას ნიშნავს, რომ სსკ-ის 126^1-ე მუხლით განსაზღვრული კონკრეტული დანაშაულების ამსრულებელი შესაძლებელია იყვნენ მხოლოდ მუხლში სპეციალურად მოცემული პირები და სხვა პირების მიერ იგივე ქმედების ჩადენის შემთხვევაში არ შეიძლება ისინი ჩაითვალონ სსკ-ის 126^1-ე მუხლის ამსრულებლად. არამედ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ისინი შეიძლება იყვნენ თანამონაწილეები, ცოცხალი იარაღი, სხვა მუხლის ამსრულებლები ან სულაც არ დაეკისროთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

დანაშაულს ზოგჯერ ერთი ადამიანი სჩადის მარტოდ მარტო, სხვების დაუხმარებლად (ამსრულებელი), მაგრამ ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დანაშაულს რამდენიმე პირი ახორციელებს გაერთიანებული ძალებით. ამ დროს თითოეულის მოქმედება შეიძლება ერთგვაროვანი იყოს (თანაამსრულებლობა), ან

---

[50]ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები III ტომი, თბ,, გამომც. „იურისტების სამყარო“ 2015, გვ. 265

შეიძლება მათი როლები სრულიად განსხვავდებოდეს (თანამ ონაწილეობა).[51]

თანამონაწილისა და უშუალო ამსრულებლის გამიჯნა, გარკვეულწილად ადვილია ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, ვინაიდან ცალსახაა, რომ თუ პირი არ წარმოადგენს დაზარალებულის ოჯახის წევრს მას ვერ მივიჩნევთ ოჯახში ძალადობის თანაამსრულებლად.ვინაიდან, მხოლოდ ოჯახის წევრი შეიძლება ჩაითვალოს სსკ-ის 126^1-ე მუხლში განსაზღვრული ქმედების ამსრულებლად, თუ პირი არ წარმოადგენს მსხვერპლის ოჯახის წევრს, მას ვერ მივიჩნევთ ოჯახში ძალადობის ამსრულებლად. შესაბამისად, ვინც არ შეიძლება იყოს კონკრეტული მუხლით განსაზღვრული ქმედების ამსრულებელი, ის არ შეიძლება ქმედების თანაამსრულებლად ჩაითვალოს.

თუმცა, თუ მაგალითად ოჯახის ორი წევრი სხვა წევრის მიმართ უშუალოდ ახორციელებს ძალადობას, სისტემატურ შეურაცხყოფას, დამცირებას ან შანტაჟს, ორივე მათგანი იქნება სსკ-ის 126^1-ე მუხლით განსაზღვრული ქმედების ამსრულებელი და ერთობლივად მათი ქმედების შემთხვევაში ისინი განიხილებიან სსკ-ის 126^1-ე მუხლით განსაზღვრული ქმედების თანაამსრულებელად.

დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას, როგორც უშუალო ასევე შუალობითი ამსრულებლის მიერ. ეს უკანასკნელი ის შემთხვევაა, როდესაც პირი სჩადის დანაშაულს სხვა პირის მეშვეობით, რომელსაც ბრალი არ შეერაცხება შემდეგი მიზეზების გამო:

- ასაკის
- შეურაცხაობის
- სხვა გარემოებების.

„ცოცხალი იარაღი“ ანუ ადამიანი, რომელიც ქმედების შემადგენლობას უშუალოდ ასრულებს, შეურაცხია. „ცოცხალ იარაღს“ ამ დროს არ შეერაცხება

ბრალად ის უმართლობა, რომელსაც შუალობითი ამსრულებელი მისი მეშვეობით სჩადის.

---

[51] მ. ტურავა, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მოძღვრება, თბ., 2007, გვ. 253

„შუალობითი ამსრულებელი ტიპიურად წამქეზებლის ფორმით მოქმედებს, ამიტომ წმინდა ობიექტური თვალსაზრისით თუ მივუდგებით, წამქეზებლობის დროს თანამონაწილეობასა და შუალობით ამსრულებლობას შორის განსხვავებას ვერ ვნახავთ. შუალობითი ამსრულებლობა გვექნება მხოლოდ მაშინ, როცა წამქეზებელმა იცის, რომ ის წაქეზებულს დანაშაულის ჩადენის „ცოცხალ იარაღად" იყენებს." [52]

„ცოცხალ იარაღად" შესაძლებელია გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ სპეციალური სუბიექტი- ოჯახის წევრი, არამედ სხვა პირიც. მთავარია ასეთ შემთხვევაში შუალობითი ამსრულებელი იყოს სპეციალური სუბიექტი _ ოჯახის წევრი, ხოლო „ცოცხალი იარაღი" ოჯახის წევრია თუ სხვა პიროვნება, მნიშვნელობა არ აქვს.

„დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში."[53]

იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია, რომ თანამონაწილეობას აქვს ორი ძირითადი თვისება:

1. დანაშაულის ერთობლივად ჩადენა
2. განზრახვა- თანამონაწილის შეგნება, რომ ის მოქმედებს სხვა პირთან ერთად კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად.[54]

ქეთევან ჰედრიხი განმარტავს თანამონაწილეობის ფართო და ვიწრო გაგებას და აღნიშნავს, რომ ქართული სისხლის სამართალი თანამონაწილის ვიწრო გაგებას იზიარებს. „ქართულ სისხლის სამართალში ერთმანეთისგან განასხვავებენ თანამონაწილეობას ფართო და ვიწრო გაგებით. თანამონაწილეობა ფართო გაგებით უშუალო ამსრულებელსაც თანამონაწილედ თვლის და, აქედან გამომდინარე, თანაამსრულებლობაც თანამონაწილეობაა. ვიწრო გაგებული თანამონაწილეობა კი მხოლოდ ორგანიზატორის, წამქეზებლის და დამხმარის

---

[52] ო. გამყრელიძე , სისხლის სამართლის პრობლემები III ტომი, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო" 2015, გვ. 266-267.

[53] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 2018, მ.23

[54] რ. კვარაცხელია, ყაჩაღობის კვალიფიკაციის და გამოძიების პრობლემები, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო" 2014, გვ.129.

დოგმატიკურ ფიგურებს მოიცავს. თანამონაწილეობის ვიწრო გაგების მიხედვით ამსრულებელი არ არის თანამონაწილე. დღევანდელი ქართული სისხლის სამართლის კოდექსი თანამონაწილეობის ვიწრო გაგებას იზიარებს“[55]

თანამონაწილეობა გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც დანაშაულებრივ ქმედებაში პირი იღებს მონაწილეობას, თუმცა ის უშუალოდ არ სჩადის დანაშაულს, არამედ ეხმარება ამსრულებელს, აქეზებს ან ორგანიზებას უწევს დანაშაულს.

სსკ-ის 125-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად: „ისეთ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომლის ამსრულებელი შეიძლება იყოს ამ კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი დანაშაულის სპეციალური სუბიექტი, პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება როგორც ორგანიზატორს, წამქეზებელს ან დამხმარეს.“აღნიშნული მუხლიადგენს რომ

ისეთ სპეციალურ დელიქტებში, როგორიცაა ოჯახში ძალადობა შესაძლებელია გვყავდეს თანამონაწილე. ამასთან, თანამონაწილე შეიძლება იყოს როგორც ოჯახის წევრი, ასევე სხვა პიროვნება. იმის გამო, რომ სპეციალური დელიქტი ადგენს ამსრულებლის სპეციალურ ნიშანს, ამ შემთხვევაში ოჯახში ძალადობის ამსრულებლის სპეციალური ნიშანია, რომ ის უნდა იყოს ოჯახის წევრი, ხოლო თანამონაწილეს ეს ნიშანი არ სჭირდება. ქეთევან ჰედრიხი აღნიშნავს, რომ „თანაამსრულებელთათვის ერთმანეთის ქმედების შერაცხვა არ ნიშნავს იმას, რომ ისინი აუცილებლად ერთი მუხლის მიხედვით დაისჯებიან. თუ დედა ახალშობილს მშობიარობის ან უმალვე მშობიარობის შემდეგ მოკლავს და მასთან ერთად ამ ქმედებას ბავშის მამაც განახორციელებს, ისინი თანაამსრულებლად ჩაითვლებიან. დედა პასუხს აგებს 112-ე მუხლის მიხედვით (დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა), მამა კი 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის მიხედვით (განზრახი მკვლელობა დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისა). თანაამსრულებლები ამ შემთხვევაში ერთიან დანაშაულს ანუ მკვლელობას ახორციელებენ.“

აღნიშნული მოსაზრება ლოგიკურია, ვინაიდან სსკ-ის 112-ე მუხლით

[55] ქ. მჭედლიშვილი ჰედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. ,,მერიდიანი'' 2015, გვ. 158

განსაზღვრული ქმედება-დედის მიერ ახალშობილის მკვლელობა არის მკვლელობის შემამსუბუქებული გარემოება. არ შეიძლება მამის ქმედება დაკვალიფიცირდეს დედის მიერ ახალშობილის მკვლელობაში დახმარებად, ვინაიდან ის უშუალოდ მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც გათვალისწინებულია ცალკე პასუხისმგებლობა (სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მამა არ უნდა გაექცეს პასუხისმგებლობას 109-ე მუხლის ამსრულებლობისთვის იმ არგუმენტით, რომ მან დანაშაული ჩაიდინა 112-ე მუხლით განსაზღვრული ქმედების სპეციალურ ამსრულებელთან ერთად. ამასთან, მამის ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება 112-ე მუხლის ამსრულებლობად, ვინაიდან მუხლს გააჩნია სპეციალური სუბიექტი-დედა.

შესაბამისად, ქეთევან ჰედრიხის მოსაზრებით, შესაძლებელია პირების, ქმედება დაკვალიფიცირდეს სხვადასხვა მუხლით, თუმცა ისინი მაინც თანაამსრულებლებად ჩაითვალონ. თუ ასეთი ლოგიკით გავყვებით მაშინ, ზემოთხსენებული მაგალითის მიხედვით ძმას ძმის ცემისთვის შეერაცხება სსკ- ის 126^1-ე მუხლი, ხოლო მის მეგობარს -125-ე მუხლი.

შესაბამისად, ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირი, რომელიც არ არის სპეციალური ამსრულებელი უშუალოდ ახორციელებს ისეთ ქმედებას, რომლისთვისაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა, როგორც სპეციალური სუბიექტისთვის ასევე ზოგადი სუბიექტებისთვისაც, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება ზოგადი მუხლით, ხოლო სპეციალური სუბიექტი ჩაითვლება სპეციალური დელიქტის ამსრულებლად. ამასთან, როდესაც ქმედებას აქვს ერთი და იგივე ხასიათი და ქმნის ერთიან დანაშაულს, ისინი განხილულ უნდა იყვნენ თანაამსრულებლებად.ხოლო, როდესაც სხვა პირი სპეციალურ სუბიექტთან ერთად უშუალოდ ახორციელებს ისეთ ქმედებას რომლისთვისაც პასუხისმგებლობა არის გათვალისწინებული მხოლოდ სპეციალური სუბიექტისთვის და სისხლისსამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს იგივე ქმედებისთვის ზოგადად პირის პასუხისმგებლობას სპეციალური სუბიექტი ჩაითვლება სპეციალური დელიქტის ამსრულებლად, ხოლო სხვა პირი - სპეციალურ დელიქტში

თანამონაწილედ.[56]

თავი III. კვლევის შედეგები

ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს იმ პრობლემებზე საუბარი რაც თან ახლავს ოჯახურ ძალადობას. ოჯახში ძალადობა თითქოს ჩვენს საზოგადოებაში ტაბუდადებული თემაა და მასზე საჯაროდ საუბარს ერიდებიან, თუმცა ამის მიუხედავად, ეს საკითხი დღეს აქტუალობას არ კარგავს. საზოგადოების ერთი ნაწილი ზუსტად აღიქვამს ამ საკითხს, ზოგი კი არასერიოზულად მიიჩნევს, ყურადღების მიღმა ტოვებს და არ რეაგირებს მასზე. ამას განაპირობებს ის შეხედულება, რომ "ოჯახური პრობლემები მხოლოდ ოჯახში უნდა მოგვარდეს და არ უნდა გავიდეს მის გარეთ". მიუხედავად ამგვარი სტერეოტიპული შეხედულებებისა, დღეს მწვავედ დადგა პრობლემა ჩვენს წინაშე, რომ აშკარად შეინიშნება ამ სტერეოტიპების მსხვრევის ტენდენცია. თანდათან იზრდება იმ მსხვერპლთა რიცხვი, რომლებიც აღარ ერიდებიან ამ პრობლემის გასაჯაროებას.

ნაშრომში განხილულმა მეტად მტკივნეულმა პრობლემამ საქართველოში ყურადღება მხოლოდ ბოლო წლებში მიიქცია. აქამდე განხორციელებული ემპირიული კვლევები ლოკალურ ხასიათს ატარებს და არ იძლევა საქართველოში ოჯახში ქალის წინააღმდეგ მიმართული ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის თავისებურებების და გავრცელების სრულ სურათს. ნაკლებადაა შესწავლილი ისიც, თუ რა გავლენას ახდენს ძალადობა ქალის ფსიქიკაზე და ოჯახის სხვა წევრებზე; შეუსწავლელია აგრეთვე ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები. ყოველივე ეს ხელს უშლის ამ პრობლემის მოგვარების სტრატეგიის შემუშავებას.ოჯახური ძალადობის კვლევისას განსხვავებულ შედეგებს ვიღებთ სხვადასხვა სოციალურ და კულტურულ ფენებში, სხვადასხვა ეკონომიკურ პირობებსა და სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოში. თუმცა ფაქტია, რომ ძალადობა ოჯახში ყველა სოციალური ფენის, ყველა კულტურისა და აღმსარებლობის ხალხებში გვხვდება.

---

[56] ქ. მჭედლიშვილი ჰედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. ,,მერიდიანი'' 2015, გვ. 158

ნაშრომის დასაწყისში განვიხილეთ ზოგადად დანაშაულობის პრობლემა , რომელიც არღვევს საზოგადოებაში დადგენილ ქცევის წესს და სოციალურ ნორმებს. ნაშრომიდან ჩანს რომ დანაშაულობა საზოგადოებისთვის ნორმალური მოვლენაა, სწორედ ამიტომ საზოგადოებაში ადამიანთა ქცევის რეგულირება ვერ მოხერხდება, თუ მათი საქციელი არ შეფასდება და მათი ჩადენისთვის არ დადგინდება პასუხისმგებლობის ზომა. კვლევება გვიჩვენა რომ 2017 წლისთვის დარეგისტრირებული დანაშაოლობის საერთო რიცხვმა მთელს მსოფლიოში 500 მილიონს მიაღწია. მეცნიერ-კრიმინოლოგების გათვლებით, დანაშაულობის საშუალო წლიური მატება მსოფლიოში უახლოეს წლებში მოსალოდნელია 3-5%. ასე რომ 2020 წლისათვის დამნაშავეთა რაოდენობა შეიძლება მიუახლოვდეს მოსახლეობის რაოდენობასაც. სწორედ ამიტომ დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლა დღესდღეისობით ერთ-ერთ მნიშვნელობან პრობლემას წარმოადგენს მთელს მსოფლიოში.

წარმოდგენილი ნაშრომის ძირითად მიზანს წაერმოადგენდა იმ პრობლემებზე საუბარი რასაც მივყავართ ოჯახურ ძალადობამდე და მის შემდგომ ეტაპებამდე.დასაწყის ეტაპზე ოჯახში ძალადობის ტერმინი მხოლოდ ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობას გულისხმობდა, მაგრამ ახლა მამაკაცების წინააღმდეგ ძალადობასაც მოიაზრებს, თუმცა, დასავლეთის ქვეყნების სტატისტიკური მონაცემებით ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა შორის 13-ჯერ უფრო ხშირად დაზარალებულები სწორედ ქალები გვხვდებიან. აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს ცნობებით, ძალადობის ფაქტების 21%25 ინტიმური პარტნიორის მიერაა ჩადენილი. მოკლულ ქალთა 20%25 ქმრის, ან საყვარლის მოკლულია. 10 მილიონი ქალიდან 3 მილიონი ოჯახში ძალადობის მსხვერპლია.

ნაშრომში საუბარია იმაზე, რომ, ბავშვები, რომლებიც ოჯახებში დედის ცემისა და შეურაცხყოფის მოწმენი არიან, ან თავად არიან მშობელთა ძალადობის მსხვერპლნი, მოსალოდნელია, რომ მოძალადეები, ან ძალადობის მსხვერპლნი გახდებიან საკუთარ ოჯახებშიც. ხშირ შემთხვევაში მათ უვითარდებათ შფოთვა, ფობიები, საკუთარ თავში დაურწმუნებლობა, ენურეზი და ა.შ. დამნაშავე პირთა დიდი

ნაწილი ისეთ ოჯახებშია გაზრდილი, სადაც ოჯახში ძალადობა ყოველდღიური მოვლენა იყო.

ნაშრომში ნათლადაა წარმოდგენილი ის ფაქტორები, რაც უწყობს ხელს მოძალადეს ოჯახური ძალადობისკენ. ქალი რომ ძალადობის მსხვერპლი გახდეს და შეურიგდეს ასეთ მდგომარეობას, ამას სხვადასხვა ფაქტორი უწყობს ხელს. ესენია: დაუცველობის შეგრძნება, ტრადიციის მიღება, ის რომ მამაკაცი ოჯახის მაკონტროლირებელი ფიგურაა, სიღარიბე, მეზობლების, მეგობრების, ნაცნობების ოჯახებში ძალადობის არსებობის შესახებ ინფორმაცია.ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ საქართველოში თავგამოდებით იცავენ ოჯახის კულტს, რომ ოჯახი არის ისეთი სოციალური ინსტიტუტი, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ჰარმონიულობასა და ურთიერთგაგებას ოჯახის წევრებს შორის. თუკი ოჯახში საქმე გვაქვს ძალადობასთან ან რაიმე სახის კონფლიქტთან, ეს არის მხოლოდ ოჯახის საქმე და მასში სხვა პირთა ჩარევა მიუღებელია, აქ ყველაფერი გასაიდუმლოებული უნდა იყოს და ოჯახის კედლებს გარეთ არ უნდა გამოდიოდეს რაიმე სახის კონფლიქტი ან დაპირისპირება, რადგან ეს ოჯახს სახელს შეულახავს, "ჩირქს მოსცხებს". სწორედ ამგვარი მოსაზრებებით განმსჭვალული საზოგადოებაა მიზეზი იმისა, თუ რატომ იტანენ ქალები ფსიქოლოგიურ, ფიზიკურ თუ სექსუალურ ძალადობას მამაკაცისგან. ქალები თავიანთი "დუმილით" იცავენ ოჯახის სახელს, ღირსებას. ამ დროს მათ ორმაგი როლის შესრულება უხდებათ. პირველი ის, რომ მათ უნდა დაიცვან ოჯახის სახელი, მეორე ის, რომ უნდა აიტანონ ნებისმიერი სახის შეურაცხყოფა, ისინი ხომ "დამთმობი და ყველაფრის ამტანი არსებები არიან".

კვლევის შედეგად დგინდება, რომ მსოფლიო სტატისტიკური მონაცემებით ოჯახში ყველაზე გავრცელებული სახის ძალადობაა ცოლის ცემა. მის ოთხ ძირითად მიზეზს ასახელებენ, ესენია:

1. ეჭვიანობა
2. ქმრის მიმართ უპატივცემულობა
3. ქმრის, როგორც ოჯახის უფროსის და გამგებლის „უფლება“ - სცემოს ცოლი
4. ალკოჰოლური მდგომარეობა.

გარდა ფიზიკური ძალადობისა, ხშირია ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტებიც, ისეთები, როგორიცაა: ცოლის მუდმივი კონტროლი, საკუთარი მშობლებისა და მეგობრებისაგან იზოლაცია; მუქარა, დაშინება, სიტყვიერი შეურაცხყოფა, დამცირება და ა.შ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2012 წლის მაისში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც მოხდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია. სსსკ–ის მუხლი 11[1] განსაზღვრავს ოჯახის წევრთა წრეს და მიუთითებს კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩამონათვალზე, რომელთა ჩადენის შემთხვევაში კეთდება შესაბამისი მითითება აღნიშნულ მუხლზე. ხოლო მუხლი 126[1] განმარტავს ოჯახში ძალადობის კრიმინალურ ხასიათს და აწესებს პასუხისმგებლობას ჩადენილი ქმედებისათვის.

დასკვნა

მაინც რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ აღიკვეთოს ოჯახში ძალადობა? უპირველესყოვლისა უნდა ამაღლდეს საზოგადოებრივი ცნობიერება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რაც საშუალებას მისცემს საზოგადოებას სხვა კუთხით შეხედონ ამ პრობლემას. არა ზიზღით, დაცინვით, არამედ პრობლემის გადაჭრის, კეთილგონიერი თვალით.

დღითიდღე მატულობს ყოფილი ქმრებისგან ცოლის მკვლელობის, ფიზიკური თუ სექსუალური ძალადობის ფაქტები. ძალადობის პრობლემა არა მარტო საქართველოში არამედ მთელ მსოფლიოში არის გავრცელებული. ამიტომ არ არსებობს ერთი უნივერსალური წესი, რომლითაც ქვეყანა შეძლებს ფორსირებული ტემპით დაამარცხოს და მოახდინოს ძალადობის პრევენცია. ამისთვის აუცილებელია შემდგომი ეფექტური სტრატეგიების შემუშავება, საჭიროა აგრეთვე დრო და ამ დროში ისეთი თაობის აღზრდა, რომელიც შეძლებს კეთილგონიერად იფიქროს ისეთ მწვავე საკითხებზე, როგორებიცაა: გენდერული ნიშნით ძალადობა, გენდერული უთანასწორობა, ბავშვთა და ხანდაზმულთა მიმართ ძალადობა და ა. შ.

პრობლემის აღმოსაფხვრელად აუცილებელია ინფორმირებულობის, ცნობიერების დონის ამაღლება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რათა ხალხმა გააცნობიეროს პრობლემის არსი. ძალადობის ფაქტების გასაჯაროება დაცინვისა და განსჯის თემა კი არ უნდა გახდეს, არამედ თითოეული მოქალაქე სერიოზულად უნდა დაფიქრდეს და მიხვდეს რომ პრობლემა არსებობს საზოგადოებაში და ამის მსხვერპლი დღეს თუ ხვალ შეიძლება თვითონ გახდეს. აუცილებელია ძალადობასთან დაკავშირებით ტრენინგების ჩატარება, ზუსტი ინფორმაციის მიწოდება, არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან შესაბამისი ღონისძიებების მოწყობა, აქციების ჩატარება, ტელევიზიით თუ ინტერნეტული მედიით რეკლამებისა და რელევანტური გადაცემების ჩვენება, რათა ერთხელ და სამუდამოდ შეიგნოს ქართულმა საზოგადოებამ, რომ ნებისმიერი სახის

გენდერული ძალადობა, იქნება ეს ოჯახში, საზოგადოებაში, ითვლება დანაშაულად.

იქიდან გამომდინარე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო არის ორგანო, რომელიც პირველი ახდენს რეაგირებას ოჯახში ძალადობის ფაქტზე, გადამწყვეტია, პოლიციელს გააჩნდეს რისკების შეფასებისთვის საჭირო უნარები და ინსტრუმენტები. ამ მიზნით, სასურველია საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა და შეფასების მეთოდების დანერგვა. აუცილებელია ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენ პირთა და პრობაციონერთა ცნობიერების ამაღლება აღნიშნული მიმართულებით. მოსახლეობაში სამართალდამცავი სტრუქტურების საქმიანობისადმი ნდობის გასაღრმავებლად, საჭიროა გაგრძელდეს პოლიციელების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. კურსის მოდული, სამართლებრივ საკითხებთან ერთად, ორიენტირებული უნდა იყოს გენდერული ნიშნით და ბავშვის მიმართ ჩადენილი ძალადობისა და დანაშაულებისადმი სამართალდამცავთა მიდგომის შეცვლაზე. სამართალდამცველთა დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის მიმართ, ასევე, ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაიგირების დროს სენსიტიური იყოს.

ოჯახში ძალადობის პრობლემა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, რამაც განაპირობა ჩემი დაინტერესება ოჯახური ძალადობის საკითხებით. ზემოთ წარმოდგენილი ნაშრომიდან გამოიკვეთა , რომ ძირითადი პრობლემა ისევ და ისევ გენდერული როლები და სტერეოტიპებია, რომლებიც იმდენად ღრმად არის ფესვგადგმული ჩვენს საზოგადოებაში, რომ ოჯახში ერთი წევრის მიერ მეორე წევრის ჩაგვრაც კი, ხშირ შემთხვევაში, ყოფით მოვლენად მიიჩნევა, რაზეც „თვალის დახუჭვა“ თითქოს სავალდებულო ხასიათს ატარებს. თუმცაღა, ყველასთვის ნათელია, რომ ოჯახში ძალადობას საბოლოოდ სავალალო შედეგებამდე მივყავართ, რაც აისახება არა მხოლოდ ცალკეულ ადამიანებზე, არამედ თაობებზეც. შესაბამისად, იმისათვის, რომ ჯანსაღი თაობა

გვყავდეს და ყველა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები თანაბრად იქნას დაცული, ოჯახში ძალადობის პრევენციისათვის სახელმწიფო ვალდებულია გაატაროს ქმედითი ღონისძიებები პრობლემის მოსაგვარებლად.

ვფიქრობ ჩემი ნაშრომი გარკვეულ წილად დახმარებას გაუწევს სამართალდამცავ ორგანოებსა და იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც დაკავებულები არიან ოჯახური ძალადობის პრევენციებით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა უნდა იცოდეს, რომ ის არ არის დამნაშავე იმაში, რომ ძალადობის მსხვერპლი გახდა, რომ ეს სირცხვილი არ არის და საზოგადოება მას გაუგებს, გვერდში ამოუდგება, დაიცავს, რომ პრობლემის დამალვა გამოსავალი არ არის, ზიანის მომტანია როგორც მისი ოჯახისათვის, ასევე მისი პიროვნული განვითარებისათვის, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და მომავალი თაობებისთვისაც.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1 ალადაშვილი ი., და სხვ., პოლიცია და ძალადობა ოჯახში, თბ., 2008წ;

2 ბექაია ვ., და სხვ., ოჯახის კრიზისი საქართველოში და საოჯახო პოლიტიკის პრინციპები, თბ., 1998;

3 გაბრიჩიძე ნ., საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი ძალადობითი დანაშაულობა, თბ., 2004;

4 გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები III ტომი, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“ 2015;

5 გახოკიძე ც., გაბუნია მ., კრიმინოლოგია, თბ., 2017;

6 გოძიშვილი ი., დამნაშავის პიროვნება-კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა, აშშ-საქართველო, თბ., 2003;

7 გოძიაშვილი ი., კრიმინოლოგია, თბ., 1999;

8 იმედაძე ნ., აგრესიის გენეზისისათვის - არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საკითხები. თბ., გამომც.,,მეცნიერება“, 1983;

9 კვარაცხელია რ., ყაჩაღობის კვალიფიკაციის და გამოძიების პრობლემები, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2014;

10 კოდუა ე., ,,სოციოლოგია'' II ნაკვეთი, თბ., 1998;

11 ლეკვეიშვილი მ., და სხვ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014;

12 მჭედლიშვილი მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც.

13 ,,მერიდიანი'', 2015;

14 ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, თბ., 1998;

15 ტურავა მ., სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი პირველი წიგნი

16 დანაშაული და მოძღვრება, თბ., 2017;

17 შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბ., 2011;

18 შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბ., 2011;

19 წულაია ზ., კრიმინოლოგია (ზოგადი ნაწილი), თბ., 2003;

უცხოური ლიტერატურა

20 18. Карпец И. И., Преступность: иллюзии и реальность, М., 1992;

21 19. Шестаков Д. А., Криминология, СПТ, 2006;

22 20. Босхолов С.С., Латентные преступления против личности, М., 1984;

23 21. Бурлаков В.Н., Преподавание кримиеологии в современных условиях.

24 Вестн. СПТ , 1996;

ნორმატიული აქტები

25 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 (2019 წლის მდგომარეობით)

26 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, (2019 წლის მდგომარეობით);

27 საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, 2006, (2018 წლის მდგომარეობით) ;

28 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციარომი, 1950 წლის 4 ნოემბერი;

29 ოჯახური ძალადობა ქალებისა და გოგონებ ის წენააღმდეგ, ინოსენტი დაიჯესტი #6, 2000 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა (თარგმანი), თბ., 2006;

ვებ. გვერდები

30 http://education.ge;

31 http://intermedia.ge;

32 http://gov.ge;

33 https://police.ge;

34 http://legalaid.ge;

35 http://www.nplg.gov.ge;

36 http://www.parliament.ge

37 https://matsne.gov.ge